სამშაბათი 15 თებერვალი 1921 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ერთობა

ფასი 50 მანეთი

ხელის მოწერის ფასი: თვეში 1500 მანეთი ... 50 მანეთი. განცხადების ფასი ... სტრიქონი 30 მანეთი ... 20 მანეთი. ... (10 × 2) 1000 მანეთი. ... რედაქცია ქ. № 4, ... № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—76, კანტორის 16—62

№ 35 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 35

ნიკოლოზ, ნესტორ, ელადორ, ელენე, ნუცა ხვინგიები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავებს, რომ ... 15 თებერვალს ... გარდაიცვალა

ვანო (სილოვან) ძე კაკაბაძე

... (ფ. 1—1)

---

... რომ ... თებერვალს ... გარდაიცვალა

გაგრატ ანტონის ძე (საგაშვილი) საგაევი

... (578—1—1)

---

... და დიდედა

მაკრინე დავითის ასული გედევანიშვილისა

პანაშვიდი დღეს, საღამოს 7 საათზე, გასვენება ბინიდან (პლეხანოვის პროსპექტი № 78) თებერვლის 16, დილის 10 საათზე, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში. (562—1—1)

---

როზა იოსების ასული და შვილი პავლე ბაგრატის ძე აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობთ, რომ მამა და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 11 თებერ. 12 საათ. მათთვის ძვირფასი საყვარელი პირველის მეუღლე და მეორის მამა

გაგრატ ანტონის ძე (საგაშვილი) საგაევი

დაკრძალვა დანიშნულია სამშაბათ 15 თებ. ცხედარს გამოასვენებენ (ალექსანდროვის ქუჩა № 16 საკ. სახლი) ქართ. კათ. მიძინების ეკლესიაში დაკრძალვა სოლოლაკის სასაფლაოზე (578—1—1)

---

ანნა ბაგრატის ასული და იაკობ იაკობის ძე ნებიერიძე შვილებით აუწყებენ ნაცნობ და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარ

გაგრატ ანტონის ძე საგაშვილის (საგაევის)

გარდაცვალებას. (578—1—1)

---

ნიკო ანტონის ძე საბაშვილი მეუღლით და შვილებით აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარ

გაგრატ ანტონის ძე (საგაშვილის) საგაევის

გარდაცვალებას. (578—1—1)

---

მარტის პირველი რიცხვიდან ქ. თფილისში დაიწყებს გამოსვლას ყოველთვიური სამეცნიერო ჟურნალი

## „ახალი დრო“

ორგანო საქ. სოციალ-დემოკრატიული მუშ. პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

ჟურნალი მიზნათ ისახავს მიმდინარე კითხვების მარქსისტული მსოფლმხედველობით გაშუქებას. მონაწილეობას მიიღებენ ევროპიული სოციალიზმის მოწინავე წარმომადგენლები, საზღვარ-გარეთის და საქართველოს ცნობილი მწერლები. ჟურნალში იქნება:

1—თეორიული წერილები (პოლიტიკური ეკონომია, ფილოსოფია, სოციოლოგია, ისტორია, ხელოვნება და სხვ.)

2—მიმოხილვები (სხვადასხვა ქვეყნების— ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობა საერთაშორისო სოციალისტური პრესა, მუშათა მოძრაობა, კოოპერაცია, მხატვრული მწერლობა, თეატრი და სხვ.)

3—კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ისტორიული მასალები მეცნიერული სოციალიზმის შესახებ.

რედაქცია და კანტორა „ერთობის“ ქუჩა, 4. ( —1)

---

ახლად შემდგარი ა—ბა „ლ ე ჩ ხ უ მ ი“ ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ორშაბათს, 14 თებერვალს, ფართე ნიადაგზე გაიხსნება

## რესტორანი „ლეჩხუმი“

(თამამშევის ქარვასლა, სასტუმრო კავკასიის პირდაპირ) ყოველდღე

ს უზმე, სადილი და ვახშამი

ახალი სამზარეულოდან.

მზადდება აზიური კერძები, როგორც ევროპიული, ისე აზიური სუფრისათვის. შეიძლება დაიკვეთა

განკეტებზე და სადილ ვახშმებზე

ღვინოები და მაგარი სასმელები საზღვარ-გარეთის და ადგილობრივი ყველა მარკისა. პროცენტები არ გადახდებათ. რესტორანში თფილი. (575 2—1)

---

ქართველ მსახიობთა საპროფესიო კავშირის საგანგებო

## კრება

დანიშნულია 1921 წ. თებერვლის 20,

ქართული დრამის თეატრში

დილის 12 საათზე საკმაო წევრთა გამოუცხადებლობის გამო კრება გადაიდება პირველ საათისათვის და კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს. დღის წესრიგი: საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევანი და მიმდინარე საკითხები. (ნ. 1—1)

---

## სახელმწიფო ოპერა

სამშაბათს 15 თებერვალს

## კოპელია

მორდკინის და პოლიცკაიას მონაწ.

ოთხშაბათს 16 თებერვალს, „ფაუსტი“. ხუთშაბათს 17 თებერვალს „რიგოლეტო“. პარასკევს 18 თებერვალს „ამეხალომ და ეთერი“.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (ნ. 1—1)

---

## რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირის გამგეობა ახდენს რესპუბლიკაში

ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა და ომში დაღუპულ მეომართა ობლების ხრუნვა აღწერას რისთვისაც საჭიროა

## ინსტრუქტორები

ყველა მაზრებისათვის, გარდა ზუგდიდისა. ჯამაგირი მიეცემათ თვიურათ 40,000 მან. წარმოდგენილ უნდა იქნას საიმედოების საბუთები პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებიდან. ინსტრუქტორი უნდა იყოს იმ მაზრის მცხოვრები, რომელშიაც ის მუშაობას იკისრებს. ცნობების მიღება სწარმოებს კავშირის ბინაზე ყოველ დღე ქ. თფილისში, პლეხანოვის პრ. № 139, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ.

(ნ. 14—12) გამგეობა.

---

## განცხადება.

## მომარაგების სამინისტრო

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ვისაც სურს ჩამოიტანოს ხორბლეულობა სიღნაღის და თელავის მაზრებიდან, მიეცემა ნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოსატან ხორბლეულობის რაოდენობის ნახევარს მიჰყიდის მომარაგების სამინისტროს განსაზღვრულ ფასებში. ხორბლეულობის გამოტანა შეიძლება არა ნაკლებ 20 ფუთისა გამოსატან ხორბლეულობის ნახევარს მიიღებს სამინისტროს რწმუნებული: თელავში—კალანდარიშვილი, წნორის წყალში—თავდიშვილი და თფილისის სადგურზე სამინისტროს რწმუნებული.

ხორბლის გამომგზავნი, ვინც უკვე ჩააბარა ნახევარი ხორბლეული უნდა ჰქონდეს რწმუნებულისაგან მოწმობა მასში, რომელიც შემდეგში აქ ჩამოერთმევა და კიდევ მისივე მოწმობა დანარჩენ ხორბლეულობის დაუბრკოლებლივ გასატანათ.

ვისაც მოწმობა არ აქვს, მას შეუძლიან მთელი თავისი ხორბლეული გამოგზავნოს მახლობელ სადგურიდან, მხოლოდ თფილისში, მომარაგების სამინისტროს სახელზე და აქ. თფილისის სადგურზე, ნახევარს ჩააბარებს სამინისტროს რწმუნებულს და დანარჩენს რწმუნებულის მოწმობის ძალით დაუბრკოლებლივ წაიღებს თვითონ.

ჩაბარებულ ხორბლეულობის საფასურს მიიღებს ნაღდათ რკინის გზის გადმოსატან ხარჯის დამატებით მომარაგების სამინისტროს სალაროში. მსურველთ შეუძლიანთ სამი მეოთხედი ჩაბარებულ ხორბლეულობის საფასურისა მიიღონ ნაღდათ და დანარჩენი საფასურის ანგარიშში წაიღონ მომარაგების სამინისტროს საწყობიდან სხვადასხვა ნივთები: რკინა, თვლები, ჰურჰელი, ლურსმანი და სხვა. (ნ. 5—5)

---

## თფილისის სარაიონო კოოპერატივთა კავშირის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ 27 ამა თებერვალს დღის 11 საათზე, კავშირის შენობაში დანიშნულია

## კავშირის რწმუნებულთა კრილობა.

განსახილველია შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება გამგეობის მუშაობის შესახებ 1920.
2) სარევიზიო საბჭოს მოხსენება.
3) 1920 წ. ანგარიშების განხილვა და დამტკიცება.
4) 1921 წლის ხარჯ-აღრიცხვა.
5) გამგეობის და სარევიზიო საბჭოს არჩევნები.
6) მიმდინარე საკითხები.

იმ შემთხვევაში, თუ პირველ კრებაზე არ გამოცხადდა საჭირო რიცხვი რწმუნებულთა, მაშინ განმეორებითი კრება ინიშნება, თანახმად კავშირის წესდების 42 მუხლისა, იმავე დღის 12 საათზე, რაც ჩაითვლება კანონიერად, მიუხედავად დამსწრე რწმუნებულთა რაოდენობისა. გამგეობა. (ნ. 5—1)

---

## თფილისის ქალაქის გამგეობის განცხადება

1921 წ. ჯარში მორიგ გასაწვევ სიებში შესატან ახალგაზრდა მოქალაქეთა საყურადღებოთ.

ქ. თფილისის მკვიდრი მცხოვრებნი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, გარდა მაჰმადიანებისა, დაბადებულნი 1901 წელში, რომლებიც უნდა იქნენ ჯარში გაწვეულნი 1921 წ. 15 ნოემბრიდან, მოვალენი არიან ამა წლის 1 მარტამდე გამოცხადდნენ იმ უბნის კომისარიატში, სადაც ისინი მუდმივ ცხოვრობენ, გასაწვევ სიებში ჩასაწერათ და თან უნდა წარუდგინონ წერილობითი განცხადების ერთად თავისი დაბადების და აგრეთვე მამის და ძმების დაბადების მეტრიკული მოწმობები: წერილობითი განცხადებაში უნდა იყოს მოხსენებული ნამდვილი ცნობები ოჯახის შემადგენლობისა (ვინა ჰყავს, მამა მამინაცვალი, დედა ან დედინაცვალი, ყველა ძმები განურჩევლად იმისა სცხოვრობენ მამის ოჯახში თუ ცალკე ან თუ უკვალოთ არიან დაკარგულნი, დები, პაპა და ბებია). მამისა და ძმების წლოვნება უნდა აღნიშნული დაწვრილებით (წელიწადი, თვე და რიცხვი დაბადებისა).

თფილისის უბნების გასაწვევ სიებში შეიძლება შეტანილ იქნენ რესპუბლიკის სხვა მაზრების და ქალაქების მხოლოდ და მხოლოდ ის ახალგაზრდა მოქალაქენი, დაბადებულნი 1921 წელში, რომლებიც წერილობითი განცხადებასთან ერთად ამა წლის 1 მარტამდე წარუდგინენ უბნის კომისარიატს მოწმობას იმის შესახებ, რომ ისინი თავის სამსახურის ან ხელობის მიხედვით სცხოვრობენ ქ. თფილისში არა ნაკლებ სამი თვისა.

თფილისის ქალაქის გამგეობა.

(ფ. 2—1)

თებერვალი 1921 წ.

---

## საქართველოს სახაზინო რკინის გზების სასურსათო კომიტეტი

საჯარო ვაჭრობით ყიდის დამტვრეულ ყუთებს სასურსათო კომიტეტის № 4 მაღაზიის ეზოში ჩერქეზოვის ქ, სახლი № 107. შეკრება დანიშნულია ა/წ 14 თებერვალს, დღის 12—2 საათამდის. (ნ. 3—2)

---

## ლ ნჩხუთის რაიონის კოოპერატივთა კავშირი

ამით აცხადებს მოკავშირე კოოპერატივების საყურადღებოდ, რომ ამ წლის თებერვლის 20-ს ქ. ლანჩხუთში დილით 10 საათზე მოწვეულია კავშირის წევრთა რწმუნებულების

## წლიური კრება

განსახილველია შემდეგი კითხვები:

1) გამგეობა სარევიზიო კომისიის მოხსენებები.
2) 1920 წლის ანგარიშების განხილვა დამტკიცება.
3) 1920 წლის მოგების განაწილება.
4) 1921 წლის ხარჯთ აღრიცხვა.
5) კავშირის ფინანსიური მდგომარეობა.
6) ცეკავშირის რწმუნებულთა უკანასკნელი ყრილობის რწმუნებულის მოხსენება.
7) მომავალი ცეკავშირის ყრილობისთვის 5 რწმუნებულის არჩევნები.
8) გამგეობა სარევიზიო კომისიის და მეთვალყურე საბჭოს არჩევნები.
9) მიმდინარე კითხვები.

თუ რწმუნებულთა კრება ზემოაღნიშნულ დღეს არ შესდგა თანახმად წესდების 36 პარაგრაფში მოხსენებული მუხლისა იმ შემთხვევაში კრება ინიშნება განმეორებით 27 თებერვალს და 37 პარაგრაფში მოხსენებული მუხლის ძალით კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

(567—2—1) გამგეობა.

---

## სახელმწიფო დრამის თეატრი

დღეს, თებერვლის 15 ს

მეორედ **სამშობლო** მეორედ

ხუთშაბათს, თებერვლის 17 ს

პირველად **ვინ არის დამნაშავე?**

შაბათს, თებერვლის 19 ს

მეცხრედ **სამშობლო**

კვირას თებერვლის 20 ს

მესამედ **რაც ჰინახავს, ვეღარ ნახავ**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები კასაში. (ნ. 3—1)

---

## სახელმწიფო დრამის თეატრი.

ხუთშაბათს, თებერვლის 17 ს პირველად

## ვინ არის დამნაშავე

ნ. ნაკაშიძისა.

ახალი დეკორაციები ვალ. სიდამონ ერისთავისა. რეჟისორი ალ. წუწუნავა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები კასაში. (ნ. 1—1)

---

## ბავშვთა სნეულებით

სამკურნალო

ექიმ

## მ. ს. ზერნოვისა

კირპიჩნი შესახვევი № 13, ბელინსკის ქუჩასთან. (22 თებ.)

---

## ისტორია მეორდება

რესპუბლიკის საზღვრებს ნაცნობი მტერი მოადგა. ერევნის გაკომუნისტებული მთავრობა ბაქოში მოკალათებული ავანტიურისტების აქტიური და მატერიალური დახმარებით დაადგა ძველ გზას. ამ სამი წლის განმავლობაში ერევნის მთავრობამ, მიუხედავათ მისი გარეგანი ცვლილებისა, გამოიჩინა სრული სიკოტრე თავის შინაურ და საგარეო პოლიტიკაში. გარედ ყველასთან მუდმივი ომი, შიგნით ძველი რეჟიმის ხელუხლებლობა—ასეთი იყო და არის მისი პროგრამმა. წარსულში ერევანს არ ქონია დემოკრატიული აღზრდა, რევოლუციის დროს ის არ დასდგომია დემოკრატიულ გზას. ის ყოველთვის იყო იარაღი უცხოელების ხელში. დღევანდელი მთავრობა განაგრძობს ამ გზით სიარულს, ის უძახის ბაქოს კომუნისტებს და სურს მისი დახმარებით დაანგრიოს მეზობელი რესპუბლიკა. აქ ის ხელმძღვანელობს არა მისი არსებითი ინტერესებით, არამედ დაბალი ხასიათის შურით. ის ფიქრობს: მე არ ვარ, ნურც სხვა იქნებაო. ერევანი შეგნებულად ხდება ბაქოს იარაღად. ჩვენ ვიცით, რომ ბაქოს დღევანდელი ბატონ პატრონები არ არიან აზერბეიჯანის ხალხი, რომელიც ყოველთვის კეთილ განწყობილებაში იყო ქართველ ხალხთან. ბაქო იარაღია იმ გაბოროტებულ პირების, რომელთაც საქართველოს ღალატი თავის ხელობად გაუხდიათ.

საქართველოს ისტორიამ იცის მ ზედ ვერაგულად თავდასხმა, მას ბევრი მტრები შესევია და მისი გასრესა მოუნდომებიათ. ასეთი განზრახვა ყოველთვის მტრების განადგურებით გათავებულა. ისინი გამქრალან სამუდამოდ, ხოლო საქართველო დარჩენილა. ასეთია ძველი, ერის ცხოვრებაში ჩაქსოვილი ტრადიცია. ასეთივეა მისი მოკლე, მაგრამ რთ ინდული ისტორია. დემოკრატიის სრული გამარჯვების და ახალი, სამი წლის ისტორიის განმავლობაში. ერევნის მთავრობა დენიკინთან შეთანხმებული ებრძოდა ჩვენს რესპუბლიკას, ეს ბრძოლა მისთვის სამარცხვინოდ გათავდა. შემდეგ დენიკინი კავკასიის ტერიტორიაზედ მოკალათებულ მოღალატე ჯგუფებთან ერთად ცდილობდა მის დახობას. საქართველო დარჩა, როგორც სალი კლდე გამარჯვებული და ყველას მიერ ცნობილი, დენიკინის ავანტიურა ისტორიის შავ ფურცლებში ჩაიმარხა. ბაქოც შეეცადა თფილისის დაპყრობას, ეს თავხედი ნაბიჯი მისთვის სამარცხვინოდ გათავდა.

რაშია საქართველოს ძლიერება? მის ერთსულოვნებაში. მოღალატეები ყველა ქვეყნებში გამოჩნდება, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ არ არის დედამიწის ზურგზედ ერი, რომელიც ასეთი ერთსულოვნებით და ასეთი შეგნებით იცავდეს თავის არსებობას. რესპუბლიკის საზღვრების დაცვის საქმეში არ არსებობს პარტია, ჯგუფი, წრე. ყველა შეერთებულია და ამ ერთობას საფუძვლად უდევს ჩვენი დემოკრატიის მტკიცე და შეურყეველი გადაწყვეტილება მის მიერ შექმნილ და მისი უდიდესი შრომით აგებულ სახელმწიფოს დაცვაზედ. რესპუბლის დან-

# გენერალური შტაბის ცნობა

14 თებერვალი.

**13 თებერვლის განმავლობაში ჩვენი ჯარები ვორონცოვკის სამხრეთით და სადახლოს სამხრეთით აწარმოებდენ ბრძოლას.**

**წამოყვანილია ტყვეები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ჩვენს წინაამდეგ მოქმედებენ სომხეთ რუსეთის საბჭოთა ჯარები.**

გრევით ისპობა ერის კულტურულ-განვითარების პირობა, ნიადაგი ეცლება დემოკრატიის იდეალების გამარჯვების უზრუნველყოფას. უცხო ურდოების შემოსევით ნადგურდება მისი ავლა დიდება—საძირკველი საუკეთესო მომავლის აშენების. ეს სავსებით შესისხლხორცებული აქვს ჩვენს დემოკრატიას—მთელს ერს და ამისთვის ის ყოველთვის უძლევი იყო.

დღესაც, როდესაც ყოველივე ადამიანობას მოკლებული მეზობლები მის განადგურებას ლამობენ, რესპუბლიკის მოქალაქე დამშვიდებით და სრული შეგნებით დახვდება ახალ გასაჭირს. მისი წარსული მოქმედება თავდებია მომავალი გამარჯვების.

ერევანი, ბაქოს დახმარებით, იმეორებს ისტორიას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს არ იქნება სრული განმეორება. დღეს ისინი ვერ ნახავენ თფილისში, როგორც ეს მოხდა ორი წლის წინათ, იმ უცხო აგენტებს, რომელნიც ხელს შეუშლიან რესპუბლიკას, რომ შესაფერი და საბოლოო პასუხი გასცეს თავზედ და ნამუსზედ ხელ აღებულ მტერს. საქართველოს ერი, ერთსულოვანი და ბრძოლაში გაკაჟებული, გასცემს მტერს შესაფერ პასუხს.

თავისუფლებას სასიკვდილო ლახვარი ჩასცენ,—ჩვენში რყევას და არევ დარევას ადგილი არ ექნება. თავდაცვის საქმეს შესწირავს ყველა თავის მატერიალურ, ფიზიკურ და ზნეობრივ ძალას. თავდაცვისათვის დაირაზმება ყველა ჩვენი ძალები.

ვინაიდან თავდაცვა ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხია, ერევნის ბანდიტებს ჩვენში მოაქვთ მონობა, ქვეყნის აოხრება, შიმშილი, სოფლებისა და ქალაქების განადგურება.

და განა ჩვენი ხალხი იმიტომ იბრძოდა მთელი ათეული წლების განმავლობაში, განა მან იმიტომ გაიღო ამდენი მსხვერპლი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყაჩაღებს ჩაბარდეს.

მთელი საქართველო დღე დან გადაიქცევა ერთ სამხედრო ბანაკათ ერთი მისწრაფებით აღჭურვილი: ეს მისწრაფება იქნება სრული გამარჯვების მოპოება და დამტკიცება ქვეყნისათვის იმის, რომ საქართველოს ძვირათ უღირს თავისუფლება და არც არავის დაანებებს მას, სანამ არსებობს ქართველი ხალხი.

## თავდაცვისათვის

**დასამალავი არაფერია.**

ჩვენ კვლავ ვერაგულათ თავს დაგვესხენ და ომი აგვიტეხეს.

საბჭოთა სომხეთი გარეშე ძალების დახმარებით პირწმინდათ იმეორებს 1918 წლის დაშნაკელების მოქმედებას. ის ჩუმათ, ღამის სიბნელეში, როგორც უნამუსო ქურდი, ეპარება ჩვენს პოსტებს და ამავე დროს აჯანყებას აწყობს სომხებსა და რუსის სოფლებისას.

ასეთია საბჭოთა სომხეთის პირველი შეხვედრა საქართველოსთან.

ვისი იმედით იწყებს აოხრებული და დაჩანაკებული სომხეთი საქართველოს წინაამდეგ ომს?

რასაკვირველია, არა საკუთარი ძალის იმედით!

ყველასათვის აშკარაა, რომ იგი გა- [illegible]

## დამფუძნებელი კრება

დამფუძნებელ კრებას კიდევ ერთი ფრაქცია შეემატა. ეს გახლავთ სოც.-დემოკრატიულ პარტიიდან გარიცხული დეპუტატები, რომლებმაც „დამოუკიდებელ სოც.-დემოკ. ფრაქცია" დააარსეს და გასულ სხდომაზე თავისი დეკლარაციით გამოვიდნენ მათი დეკლარაცია თავიდან ბოლომდე სავსეა იმ ღვარძლით და სიძულვილით, რომელიც მუდამ ახასიათებდა რენეგატებს. გერცენი ამბობდა: რენეგატი თავიდან აყროლდებაო და ჩვენი რენეგატების გამოსვლამ გერცენის აზრი სავსებით გაამართლა. საკითხავია მხოლოდ ერთი: თუ მართლა ჩვენი პარტია ისეთი იყო, როგორც ისინი ახლა სახავენ მას, როგორ გაძლეს ამ პარტიაში ამდენ ხანს!? რატომ თავისი ნებით არ წავიდნენ და არ შეეცადნენ მათი შესაფერი პარტიის დაარსებას!?

პარტია ხომ დღეს არ გამხდარა ასე- [illegible]

ჯერ არავის არ გაუგონია არაფერი.

და აი ასეთი ხალხი გამოდის დღეს, პარტიას მემარჯვენეობას და რეფორმისტობას უკიჟინებს, თითქოს ამისთვის შორდება და თავი მემარცხენეთ გამოაქვს! ალბათ ჰგონიათ, რომ საკმარისია შეიძინო ხუპნო—ფერუმარილით, რომ მუშათა კლასი შეცდომაში შეჰყავდეს და მათი რადიკალობა იწამოს! ისინი იმდენათ დაშორებულია ჩვენ მუშათა კლასს რომ საკმარისათ მიაჩნიათ სახელდახელო ჩადრით გამოსვლა, რომ მის ქვეშ დაფარული დუხჭირი სახე ლამაზ და მოხდენილ სახეთ გაასაღონ! თუ რამდენათ ცდებიან—ამაში მალე დარწმუნდებიან. მარა ისინი ალბათ იმ ეფექტითაც კმაყოფილი არიან, რომელიც მოახდინა მათმა დეკლარაციამ ჩვენს მტრებზე ყოველ მათ უმგვანო ბრალდებაზე ყველა ფრაქციები უმაღლესის კმაყოფილებით უპასუხებდენ: „მართალია. ნამდვილია". და ბოლოს კი დასკვნეს: „ეს დასაწყისია დასასრულის, სოციალ-დემოკრატიის დანგრა, დაირღვა" და სხვ.

ამით დაიწყო ჩვენმა ყოფილმა ამხანაგებმა თავის გამოსვლა, მან დაუნდობელი იერიში მიიტანა იმ პარტიაზე, რომლის სიყვარულში ისინი ამ რამდენიმე კვირის წინათ გვეფიცებოდნენ და რომლის წევრათაც ისინი ამდენხანს იყვენ. დამფუძნებელ კრებაში თითქმის ყველა ფრაქციას გამოეყო მცირე ჯგუფები თუ პიროვნება, მარა არც ერთს მათგანს არ მიუცია თავის თავისათვის ნება ისეთ სიტყვებით და ბრალდებებით გამოსულიყო ტრიბუნაზე იმ პარტიის წინაამდეგ, რომლის წევრი ის იყო და რომელიც მან ამა თუ იმ მოსაზრებით დასტოვა. ეს ჩაიდინა ჩვენმა ყოფილმა ამხანაგებმა და ამით სავსებით გამოაშკარავა თავის პოლიტიკური და მორალური სიღატაკე. და სავსებით მართალი იყო ს.-დ. ფრაქციის ორატორი როცა ამ რენეგატებს „გზა მშვიდობისა" უსურვა. და მართლაც, ის, რაც ამ დღეებში გამოირკვა, ერთხელ კიდევ გვარწმუნებს იმაში, რომ ეს ხალხი დიდი ხანია უნდა წასულიყო ჩვენი პარტიიდან, როგორც სრულიად უცხო და ზედმეტი ელემენტი.

ამ ჯგუფის გამოსვლამ მეტად მხიარულ გუნებაზე დააყენა ყველა ფრაქციები. ყველა მათი გაზეთები სავსეა თანამგრძნობი წერილებით მათ შესახებ და გზა და გზა კი ჩვენ ქვა და გუნდას გვაყრიან და ჩვენი გაქრობის დღეებს ანგარიშობენ. ძალიან ურჩევთ ჩვენს მკითხველებს გადაიკითხონ ეს გაზეთები, რომ დარწმუნდენ თუ ვის საქმეს აკეთებს ეს ახლად მოვლენილი ჯგუფი და თან მოიგონონ ბებელის სიტყვები: როცა მოწინააღმდეგე მაქებს, ეჭვი არაა, რაღაც ცუდი გავაკეთე პროლეტარიატისათვისო. ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა იციან, რომ ეს ჯგუფი აკეთებს არა პროლეტარიატის საქმეს, არამედ მისი მტრებისას და ამიტომაც არის რომ ასე უხარიათ

ჩვენი მოწინააღმდეგენი სიხარულით ადგილებზე ვერ ეტეოდენ, როცა ისმენდენ ბ. „სხივლების" ს. დემოკრ. წინააღმდეგ გამოლაშქრებას და ნიშას მოგებით ათასგვარ რეპლიკებს ისროდენ ჩვენი ფრაქციის მიმართ. ამ ვაჟბატონებს ალბათ დაავიწყდათ, რომ მათი ფრაქციიდანაც არა ერთი და ორი დეპუტატი გავიდა, და მათი ურთიერთობის დასახასიათებლათ საკმარისია თუ გინდ ვეშაპელის ის წერილები, რომელიც თავის ყოფილ ამხანაგებს, ნაციონალ-დემოკრატებს „ტუჩებპომადიან" და „პოლიტიკურ როსკიპებს" ეძახდა, ხოლო გაზეთი „საქართველო" ბ. ვეშაპელს—„ვიმაგატელს". ასე იყო ფედერალისტებშიაც. მარა თუ ისინი ჩვენი ფრაქციიდან ხუთი-ექვსი კაცის წასვლაში დიდ სიხარულს ჰპოებენ—ეს დაჩვენებელია იმის, თუ რამდენათ ძლიერია მათში სოციალ-დემოკრატიისადმი სიძულვილი, მარა ჩვენ დარწმუნებული ვართ ამ სიძულვილზე ჩვენი მუშათა კლასი კიდევ მეტი სიძულვილით უპასუხებს.

**დეპუტატი.**

## პრესა

ს.-დ პარტიიდან გამორიცხული ოთხი პირის მეთაურობით დამფუძ. კრების სოც.-დემ. ფრაქციას გამოეყო რვა კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, რომელმაც ცალკე ფრაქცია დაარსა. ჰქონდა თუ არა ამ რვა პირს ამისი ზნეობრივი უფლება. „ახალი სხივი" ცდილობს ამ საქციელს უპოვოს ზნეობრივი გამართლება:

„აქვთ თუ არა ზნეობრივი და პოლიტიკური უფლება ფრაქციიდან გასულ პირებს დეპუტატებად დარჩენ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ შექმნილ პირობებში მათ არა თუ უფლება აქვთ ამისი, ისინი ვალდებულნიც არიან ასე მოიქცენ, რადგან ისინი არჩეულნი არიან განსაზღვრულ პლატფორმის ნიადაგზე და მათი ბრალი სულაც არ არის ის, რომ ფრაქციის უმრავლესობა ამ პლატფორმას ვერ იცავს.

და რომ შთაბეჭდილებას არ ახდენდეს ცარიელი ფაქტი უმრავლესობისა, კიდევ საკითხავი იქნებოდა თუ ვისი მანდატის დაკარგვაზე უნდა ყოფილიყო ლაპარაკი".

მაშასადამე „ჯერ კიდევ საკითხი" ყოფილა, ვის აძლევდა ორი წლის წინათ არჩევნებში ხმას ჩვენი დემოკრატია: სოციალდემოკრატიულ პარტიულ ორგანიზაციებს, თუ ნინიძე-ფირცხალაიშვილებს; სადაო ყოფილა, **სია № 1** იმიტომ გამოვიდა გამარჯვებული, რომ იგი სოც.-დემოკრატიის პარტიული ორგანოებისაგან იყო წარმოდგენილი, თუ იმიტომ, რომ მას ამშვენებდა ბბ. ხოჭოლავა-იმნაიშვილები. მართლაც რომ დღეს ორი წლის შემდეგ, ძნელია მათემატიკურად დამტკიცება იმისა, რომ ორი წლის წინათ ამომრჩეველი სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციას აძლევდა ხმას და რომ სწორედ ს.-დ. ამ. გაიმარჯვა და არა იმ პირებმა, რომელთა დიდი ბუნება ვერ დაეტია ჩვენი პარტიის ჩარჩოებში. მაგრამ „სხიველთა" საუბედუროთ, დარჩა დოკუმენტი, რომლიდანაც აშკარად ჩანს, რომ ეს გმირები იმ დროს, ორი წლის წინათ, გამარჯვებულად სთვლიდენ სოც.-დემ. პარტიულ ორგანიზაციას და ამ გამარჯვებას არ აწერდენ თავისს განათლებულს მონაწილეობას პარტიულ საკანდიდატო სიაში. ეს დოკუმენტი გახლავთ ის **ხელწერილი**, რომელიც მისცეს ყველა ამ პირებმა სოც.-დ. პარტიულ ცენტ. კომიტეტს და რომელშიაც თავის ზნეობრივ მოვალეობათ აღიარეს **დეპუტატობაზე ხელის აღება, როგორც კი ამას მოითხოვს ც. კომიტეტი.** დიახ, შეიძლება დღე მტრის ბანაკში მოკალათებულ რენეგატების მიერ მიცემული **პატიოსანი სიტყვების** განადგურებისათვის ც. კ—ტს არ მოეპოვებოდეს რაიმე ნივთიერი ძალა, მაგრამ **ხინდისიერ** ადამიანთა საზოგადოებაში კი ასეთი პატიოსანი სიტყვა **ავადღებს** მის მიმცემს.

# თავდაცვისათვის

**გენ.-გუბერნატორის განცხადება.**

რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით ა/წ. 12 თებერვლიდან ქალაქი თფილისი, თფილისის და ბორჩალოს მაზრები, რესპუბლიკის ყველა რკინის გზები და ტყიბულის მაღაროების რაიონი გამოცხადებულია სამხედრო წესებზე და გენერალ გუბერნატორად დანიშნული ვარ მე იმ უფლებათა მინიჭებით, რომელიც აღნუსხულია კანონთა კრებულის 23 მუხლის მე 9 დამატებაში და დამფუძნებელ კრების 1919 წ. 11 ნოემბრის დეკრეტში და დღეის რიცხვიდან დაკისრებული თანამდებობის ასრულებას.

გენ. გუბერნატორი ბ. ჩხიკვიშვილი.

**მოწოდება.**

საქართველოს დემოკრატიის მტრები ერთხელ კიდევ ამხედრდენ ბორჩალოს მაზრაში. მუხანათურად, ქურდულად შემოგვესია სომხის საბჭოთა ჯარი. აგრეთვე ზოგიერთი სოფლების მცხოვრებთა ნაწილი აჯანყდა და მტრებს გვერდით ამოუდგა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გასანადგურებლათ.

მთავრობა მზათაა, როგორც ყოველთვის, მოღალატეებს და მუხანათ მტრებს თავისი ადგილი უჩვენოს, თავდამსხმელ მონებს, თავისუფალ სამშობლოს დარაჯნი, ჩვენი ჯარი და გვარდია დაუპირდაპიროს.

ის თავის ნაცადი გზით, სულის დამშვიდებით და სიმტკიცით უზრუნველყოფს თავისუფალ დემოკრატიულ საქართველოს გამარჯვებას.

ჯარი და გვარდია თავის მოვალეობას ჯეროვანად აასრულებენ. ჯერი ზურგში დარჩენილ მოქალაქეებზეა. ყველა თავის სადარაჯოზე უნდა იდგეს. ყველას უნდა ახსოვდეს, რომ ერთსულოვანი ერი, რაგინდ პატარა იყოს ის, უძლეველია.

სრული წესიერება უნდა სუფევდეს რესპუბლიკაში და განსაკუთრებით რესპუბლიკის იმ ადგილებში, სადაც სამხედრო წესებია გამოცხადებული და სადაც სწყდება ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხი.

რკინის გზათა მუშა-მოსამსახურეთ მოვუწოდებთ მათ მიერ არა ერთხელ ნაცადი გაათკეცებული მუშაობისაკენ. არა ერთხელ იხსნა რესპუბლიკა განსაცდელისაგან მათმა თავგანწირულმა შრომამ და ერთგულობამ. ეხლაც, ამ ახალი საფრთხის ჟამს ამას ჰყო მოელის მათგან დემოკრატიული სამშობლო.

ტყიბულის მაღაროების მუშა მოსამსახურეებისაკენ მიქცეულია დღეს მთელი ერის ყურადღება. ყველა აღავსეა რწმენით, რომ მათ სავსებით შეგნებული აქვთ თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე და თავდადებით გარეკვეული შრომით ხელს შეუწყობენ დემოკრატიის გამარჯვებას, როგორც გარეშე, აგრეთვე შინაურ მტრებთან ბრძოლაში.

ბიბლიოთეკა

ბორჩალოს მაზრის იმ სოფლებმა რომელთაც ჩაიდინეს რესპუბლიკის და დემოკრატიის წინაშე უდიდესი ღალატი, უნდა იცოდნენ, რომ აშრომელი ხალხი არ დაინდობს ორგულთ და მოღალატეებს. მათ მოელის დამსახურებული სასჯელი კანონიერის გზით.

დანარჩენ სოფლებს ვაფრთხილებ არ აყვნენ მოღალატეთა ფეხის ხმას და უცხო სახელმწიფოს მოსყიდული აგენტების ანკესზე არ წამოეგონ. თფილისა და მის მცხოვრებლებს მოუწოდეს სალ კლდესავით ზურგი გაუმაგრონ ხალხის დარაჯებს—ჯარსა და გვარდიას.

ყველა მოქალაქენი სრული შეგნებით უნდა ასრულებდენ მთავრობის და მის ხელისუფალთა ყველა ბრძანება განკარგულებას.

ქ. თფილისის, თფილისის და ბორჩალოს მაზრების, რესპუბლიკის რკინის გზების და ტყიბულის ქვა ნახშირის მაღაროების გენერალ გუბერნატორი. **ბ. ჩხიკვიშვილი.**

**სათემო და საერობო არჩევნების შეჩერება.**

რესპუბლიკაში შექმნილ მდგომარეობის გამო მთავრობის 12 ამა თებერვლის დადგენილებით შეჩერებულია რესპუბლიკაში როგორც საქალაქო, აგრეთვე საერობო არჩევნები. არჩევნების დრო ცალკე იქნება გამოცხადებული.

**საგანგებო რწმუნებულნი ბორჩალოში და ტყიბულში.**

ტყიბულის მაღაროების ქვა ნახშირების რაიონში გენერალ გუბერნატორის მიერ დაინიშნა კონ. კანდელაკი, რომელსაც მიენდო მაღაროების ნაყოფიერი მუშაობისათვის კონტროლი და მეთვალყურეობა. ის აღჭურვილია განსაკუთრებული უფლებებით.

ბორჩალოს მაზრაში განსაკუთრებული მინდობილობით გაიგზავნა ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწე ივანე ქარცივაძე.

ბორჩალოშივე გაემგზავრა გენერალ-გუბერნატორის ინსტრუქციით ბორჩალოს სამაზრო ერობის თავმჯდომარე ალ. მითაიშვილი.

---

ახალციხის ერობის ადმინისტრაციის უფროსი მ. მაღლაკელიძე გენერალ გუბერნატორის მიერ მოწვეულია საგენერალ გუბერნატოროში განსაკუთრებულ მინდობილებათა აღსასრულებლად.

**მწერალთა ხალამი დამფუძნებელ კრებას.**

13 თებერვალს გამართულმა მწერალთა ყრილობამ დამფუძნებელ კრებას გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა: თფილისში მყოფ მწერალთა ყრილობა აღშფოთებას გამოსთქვამს ჩვენს საზღვარზე მტრისაგან ვერაგულ და მოულოდნელ თავდასხმის გამო. ყრილობა მხურვალედ მიესალმება დამფუძნებელ კრებას და დარწმუნებულია, რომ რესპუბლიკის მთავრობა ღირსეულ ნაბიჯს გადადგამს ერისა და ქვეყნის სიამაყის დასაცავად. დიდება და გამარჯვება ჩვენს სახელოვან ლაშქარს.

ყრილობის თავმჯდომარე კ. მაყაშვილი.

**მებრძოლთა გაცილება**

მთელი დღე ქუჩებს გამოცოცხლება ეტყობა. დღის 12 ს. სასახლესთან თავი იყრის დიდი ძალი ხალხი. ვ ლაცამ ჩ…

## ლორის მიდამოებში

IV

[illegible]

ბას გამოსთქვამდა, რომ საქართველომ შეიერთა ლორი..

— ჩვენა გვწამს, რომ ალავერდი საქართველოს შერჩება, გვწამს, რომ საქართველოს ჯარები უკან არ დაიხევენ. დიდი ხანია ველოდით საქართველოს, მაგრამ აგვიანებდა... ამასობაში ასობით შიმშილით ამოწყდა... ბევრი ილაჯგაწყვეტილი უკვე საბერძნეთს მიემგზავრება... ჩვენ გვიყვარს საქართველო, გვიძნელება მისი დათმობა... დიდი ხანია საქართველოში ვცხოვრობთ... შევითვისეთ მისი ზნე ხასიათი... ქარხანა რომ მალე ამუშავებულიყო და სამუშაო გაგვჩენოდა—დავრჩებოდით...

კრებამ გამოიტანა რეზოლუცია, რომლითაც ესალმება დამფ. კრებას, მთავრობას, იმედს გამოსთქვამს, რომ მისი მეოხებით ელ რიგება ქარხანას გამოცოცხლება და წარმოების გაზრდება... თხოულობენ მიაქციონ მათს უშწეობას ყურადღება და სურსათი რამ მიაწვდინონ...

მთა-მადნეულის დამუშავებაში ბერძნები იშვიათი სპეციალისტები არიან... ძველად ცოდნის შესაძენად მათ საგანგებოდ პეტროგრადს ჰგზავნიდნენ და იქ გაიწაფებოდნენ ხოლმე სპეციალურ დარგში.

ბერძნები უკვე ბევრი წასულა ალავერდიდან სხვაგან და ვინც დარჩა, უნდა გაუფრთხილდეთ აუნაზღაურებელი ზარალი იქნება მათი დაკარგვა... ყოველგვარი ზომა უნდა იქმნას მიღებული, რომ როგორმე გაძლონ და თავი დაიპურონ, ვიდრე ქარხანა ამუშავდებოდეს... მათ ერთგულება გამოიჩინეს ჩვენდამი და უნდა დაუმტკიცოთ, რომ ვიცით მისი დაფასება...

**ალავერდის ქარხანაში.**

ქარხნის მუშებში კრება საღამოს გავმართეთ. მეტად მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა. არაა არც შრომის დაცვა, არც არაფერი. ან ვინ მოიცლის მისთვის, როცა თვით საწარმოვო დაწესებულება ძლივს სულსა ჰლაფავს და ლამის მთლად განადგურდეს.

უზომოდ მუშაობენ და გროშებს ჰლებულობენ. განსაკუთრებით აუტანელია ბავშვების ბედი... 15—16 წლისანი მუშაობენ 8 საათს და ჰლებულობენ 8—10 თუმანს დღეში.

ამხ. ვასილ ნოდიამ გააცნო მუშებს როგორც ჩვენი საერთო მდგომარეობა, ისე პროფესიონალურ კავშირთა საქმიანობა.

თუ გინდათ თქვენც შეუერთდეთ მუშათა კავშირებს და თქვენზედაც გავრცელდეს მუშების დამცველი კანონები—უნდა მხარი დაუჭიროთ მთავრობას... თქვენგან იარაღის აღებას არ ვთხოულობთ მტრის წინააღმდეგ—მხოლოდ თქვენი ნდობით აღჭურვეთ მთავრობა, გაამაგრეთ მორალურად..

დაღლილ-დაქანცული მუშები ხარბად უსმენდნენ მომხსენებელს.. ნათლად ეტყობოდათ იმედის ცისარტყელა და თვალები კვესას უწყებდნენ...

— ჩვენ გვწამს—განაცხადეს მუშებმა, რომ საქართველოში დემოკრატიაა თვისი ბედის მჭედელი და მოხარულნი იქნებიან თუ კი ის შეიერთებს მათ და გაავრცელებს მათზედაც საქართველოს კანონებს...

ითხოვეს დახმარებოდნენ პროფესიონალურ კავშირების მოწყობაში და მუშათა მაგიდის დაარსებაში...

მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს დამფ. კრების, მთავრობას და პროფეს. კავშირთა ალმ. კომიტეტს.

ბ

**ხომხები.**

მგოსანი ჰეინე ერთს თავისს პოემაში მოგვითხრობს: როდესაც კორტესმა მექსიკა დაიპყრო, მაშინ მექსიკის ღმერთი ვიტცლი-პუცლი შურისძიების გრძნობით აღბორგდა, ეშმაკად გადაიქცა და შეიჭრა ევროპაში, რომ გადაერია კორტესის თანამემამულენი, ბოროტების ჰაობში შთაენთქა ყველა...

სხვა ხერხი ვერა გამონახა რა მექსიკის ღმერთმა, რომ საზაგიერო მიეზღო თვისი ქვეყნის დამწიოკებლებისთვის...

როდესაც სომხეთის ვითარებას წარმოვიდგენ—მგონია ეს გაეშმაკებული ღმერთი ვიტცლი-პუცლი მათაც ეწვია, ჩაუჯდა მისს ხელმძღვანელებს გულში და გააინადიანა, გააბოროტა...

თუ არა ეს გარემოება—სხვა მხრივ ძნელია სომხის მესვეურების საქციელის გაგება...

რამდენი ხანია, რაც იგინი ვითომდა ზრუნავენ სომხებზე, მაგრამ ნამდვილად წამების მეტი არა არგუნეს რა ..

დაშნაკელების გაჩენის დღიდან მოდიან ბეჩავი სომხები და მოსტირიან თავისს ბედსა... მარტო წიქვილი არ დატრიალებულა მათს თავზე, თორემ სხვა ყველაფერი გადახდათ... სიმშილი.., სიცივე.. ჟლეტა... მუსვრა... წიოკობა... დაუბოლავებელი წანწალი სამშობლოდან უცხოეთში და უცხოეთიდან სამშობლოში...—აი დღიურები მათის ცხოვრებისა...

ჩასაკირები არიან მათს ცოდვაში ჩამდგარი დაშნაკელები... ახლა მაინც უნდა შეჰრცხვენოდათ და განშორებოდნენ თავის საცოდავ ერს, მაგრამ არა... წურბელებად არიან ხალხის მკერდზე მოკიდებულნი და სწოვენ, სწუწნიან მხნეობასა და გონიერებას—სანამ სულს არ ამოხდიან...

ამ ბოლო დროს მათ ისკარიოტელის ცოდვ ში გარიეს ხელი, მაგრამ იუდას იმდენი შეგნება მაინც შერჩა, რომ ვეღარ უყურა საკუთარი სვინდისის გახრწნას და სიცოცხლეს გამოესალმა...

ამ ვაჟბატონებმა კი ხომ დაჰღუპეს სომხეთი,—ახლა ლორის მიდამოებს მოჰყვენიან იობის ეშმაკეოივით და იმათაც ურევენ დავთრებს...

რა ლოზუნგებით მოქმედებენ დღეს ისინი?..

სულ ერთი არაა განა ვისი სახელითაც იქნება?

სად რომელიც გაუვათ, იმას მიჰმართავენ...

აქ ბოლშევიკობენ...

იქ დაშნაკელობენ...

ზოგგან ორივეს ლოზუნგებით იქექლუცებენ თავს...

ჩვენ ვიცით, რომ შინიხელები, ა… ტლელები, დისიხელები და უზუნლი… რელები დაშნაკელების მრევლს შეადგე… დენ, მაგრამ დაემხო თუ არა მათი მთავ… რობა არარატში,—აქ სასწაული მოხდ… სავლე პავლეთ გადაიქცა... დაშნაკელე… ბი ბალშევიკების ფერუმარილით შე… გლისნენ და მცხოვრებლებს მოუწოდე… დნენ იარაღით გამკლავებოდენ ლორი… დასაჭერად წამოსულ ქართულ ლაშქარს...

უბედური სომხის ხალხი!.. მათ გა… წირულება სიკვდილის ჟამნებს უგალობ… მათი გამაუბედურებელნი კი კვლავ … დო-ბრალში გახვევას უპირებენ...

**შინიხი, აჩიხა.**

დაიქსაქსა, დაჰკარგა სომხობამ სწ… რე გზით სიარულის უნარი... … ლარ მოუხერხებია სალი, გონივრუ… ცხოვრება.

— რა ვქნათ, რა უყოთ, ყველაფერ… ში იმედი გაგვიცრუვდა—მეუბნებო… ერთი შინიხელი სომეხი... ყველამ … ღალატა და მოგვატყუა... რაკი დაშნა… კელებმა დაგვღუპეს,—ვიფიქრეთ ბა… შევიკები იქნებიან კარგიო—ახლა მ… დაუწყეთ იმედით ყურება—მაგრ… ისინი უარესი გამოდგენ... გასძარც… და გაჰქურდეს სომხეთი, ღმერთმა … ქნას, მაგრამ აქაც რომ შემოვიდნენ… მტრის კარს—ყველას დაგვარბევენ, ქ… საც კი ტყავს გააძრობენ... ცას გაგ… წითლებენ სივერაგისგანო...

შინიხი და სხვა მრავალი სოფე… გაშენებულია უზარმაზარი მთა-კლდ… ეებზე.. უხსოვარ დროს აქ ძლიერი … წის ძვრა ყოფილა და ვულკანს ამო… ხეთქნია... მისი ნაშთია ყვავარ-ყ… ლოდებად დახეთქილი ეს გაციებუ… მთები...

კრებაზე ორი სოფლიდან იყვნენ … ბარებულნი... ხალხი საკმაოდ და… წრო...

ხალხში ერია ბრგე, ახოვანი ახა… გაზრდები, რომლებიც ჩინებული ჯარი… კაცები იქნებოდნენ—სომხეთს რომ მ… შველებოდენ... მაშა, სულ მასზე ნაღ… ლობდნენ... იმისი დარდი ჰქონდა…

ილაპარაკა, რომ სასახლესთან გაივლის ფრონტზე მიმავალი ერთერთი სამხედრო ნაწილიო. უცებ გაისმა მარშის ხმა და გამოჩნდა გვარდიის № ბათალიონი.

ჩვენ მივეჩვიეთ განსაკუთრებულის სიხარულისა და სიყვარულის გრძნობით შევხვდეთ მათ ვინც, ასეთის მუსიკით გაივლიან ქუჩებზე, რომელიც სავსეა ყოველდღიურის წვრილმანი ქარ ვარამით. მათ ყოველთვის შეაქვთ ყოველდღიურ ცხოვრებაში იდეური ნაკადი, ისინი გვავიწყებენ პირადულ საქმეებს და ჩვენ ნი ყურადღებას მიაქცევენ რესპუბლიკის ბედისაკენ.

მაგრამ დღეს განსაკუთრებული გრძნობით შევყურებთ მთელ ამ დიდ მწყობრ გროვას და ყოველ მათგანს ცალ ცალკე გიხდა ყოველ სახეს მოავლო თვალი, ყველას მიულოცო, ყველას წაატანო თან შენი სულის ნაწილი, ყოველ მათგანთან ერთად განიცადო ის განსაცდელი, რომელიც მას წინ უდგას

რაზმის ცხენოსანი მეთაურები სასახლის წინ თავმოყრილი ხალხის წრეს არღვევენ და აწყობენ რაზმს.

სასახლის აივნიდან ფრონტზე მიმავალთ სიტყვით მიმართავს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე ის ღრმა რწმენას გამოსთქვამს, რომ საქართველოს ერთგულნი გუშაგნი შეანანებენ მტრის მის ქურდულ, მუხანათურ თავდასხმას და ჩვეულებრივ გამარჯვებული დაბრუნდებიან ჩვენს დიდა ქალაქში.

გენ. ოდიშელიძე ულოცავს მეომრებს საქართველოს დროშას ღირსეულად დაცვას.

ს. ფ. ფრაქციის წევრი დეპ. შ. მესხიშვილი აღნიშნავს, რომ სამშობლოს განსაცდელის დროს ყოველი პარტიული შუღლი მიყუჩებულია, ის ამბობს: არსებობს არც ერთი პარტია, გარდა მამულიშვილთა პარტიისა. ყველა პარტიები მჭიდროთ შემოკრბებიან მთავრობის და დამფუძნებელი კრების გარშემო და საქართველოს შინაგან სიმტკიცეს უზრუნველყოფენ.

ეროვნული პარტიის წარმომადგენელი ი. ბაჭვარიანი მოაგონებს მეომრებს საქართველოს წარსულის ბრწყინვალე მომენტებს და ძველ მამულიშვილთა თავდადებულ ბრძოლას სამშობლოს თავისუფლების თავდასაცავად.

ს. რ. ფრაქციის სახელით ლაპარაკობს დეპუტატი გობეჩია. ის ამბობს, რომ სოციალისტ რევოლუციონერთა პარტია მზად არის მთელი თავისი მცირედი ძალ ღონე მსხვერპლად შესწიროს სამშობლოს თავდაცვის საქმეს.

სილ. ჯიბლაძე გრძნობით აღსავსე სიტყვას წარმოსთქვამს. ის ამბობს: მე ვწუხვარ, რომ ჩემი სიბერე და უძლურება ნებას არ მაძლევს თქვენთან ერთად გავიდე ბრძოლის ველზე და იქ დავაგდო ჩემი ძვლები.

საერთო აღფრთოვანებით ეგებებიან ვალიკო ჯუღელს, როგორც ფრონტზე მიმავალს, აგრეთვე იმათ გასაცილებლათ თავმოყრილი ხალხი. ვ. ჯუღელი მოაგონებს მეომრებს, რომ მათი დროშა, ბრძოლის ცეცხლიდან დაფლეთილი, მუდამ გამარჯვებული იყო. მაგრამ ეს დროშა არასოდეს არ გასცილებია ჩვენი ქვეყნის მიწა წყალს ჩვენ არასოდეს არ შევჭრილვართ სხვის ტერიტორიაზე, არ გვქონია მიზნათ დაპყრობა, წართმევა. მაგრამ მტერი თავხედობით უპასუხებს ჩვენს მშვიდობიან ზრახვას. და აი, დღეს ჩვენ არა თუ მტრისაგან გადმოლახულ საზღვრებზე აღვმართავთ ჩვენს დროშას, არამედ შევჭრებით მტრის ტერიტორიაზედაც და ჩვენი დროშა იქაც აფრიალდება.

ბრძოლის სურვილით უნთებს გულს მეომრებს ვლასა მგელაძეს მგზნებით მჭექარე სიტყვა: საქართველოს დროშა, ამბობს ის,— მრავალჯერ დაცემულა. მაგრამ რკინის ხელებიდან ფოლადის ხელებში გადადიოდა ის და მტერი მუდამ დამარცხებული რჩებოდა. დღეს ეს დროშა ჩვენ გვაბარია. გახედეთ მთა წმინდას; ორი დიდი მოხუცის აჩრდილი გიყურებს თქვენ იქიდან, გახედეთ აი იმ მთას, სადაც ჩვენ ძმათა სასაფლაო გვაქვს გათხრილი. იქიდან სახელოვან ბრძოლაში დაღუპული გმირები შემოგვცქერიან. ჩვენში ცოცხლობს ძველი საქართველოს უკვდავი სული და ჩვენ დავიცავთ სამშობლოს დროშას ისეთივე სიმტკიცით, როგორც სამი ათასი წლის განმავლობაში იცავდენ მას ჩვენი მამა პაპანი.

დასასრულ სამხედრო მინისტრი უსურვებს მეომრებს გამარჯვებას.

ფრონტზე მიმავალთა სახელით უპასუხებს ორატორთ ერთი მეომართაგანი. ის ამბობს, რომ განსაკუთრებით ტკბილია სიკვდილი ჭეშმარიტად დამოუკიდებელი სამშობლოსათვის. ის მიმართავს თავის ამხანაგებს და უწოდებს მათ „შეგნებულ მეომრებს“. საქართველო ერთად ერთი ქვეყანაა, ამბობს ის, სადაც ჯარის კაცებს და გვარდიელებს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ შეგნებული მეომრები. ჩვენი ბრძოლა, ჩვენი თავდადება დაამოწმებენ ამას.

ახალგაზრდა მეომარის სიტყვა აღფრთოვანებას იწვევს. ხალხი დიდის ენტუზიაზმით ულოცავს გზას მიმავალთ.

X.

არა აქვს სათესი ხორბლის დიდი მარაგი, ამიტომ მას არ შეუძლია დააკმაყოფილოს სოფლის მოთხოვნილება. საზღვარ გარეთიდან შემოტანილ და აგრეთვე სახელმწიფოს შიგნი დამზადებულ მარაგიდან სახელმწიფოს შეუძლია მისცეს გლეხობას სულ ცოტა რამ.

**დონის რაიონში.**

**მოსკოვი** 12 თებ. მთავარი ყურადღება დონის რაიონზეა მიქცეული. მიღებულია ზომები მისი ნაყოფიერობის აღსადგენათ. მაგრამ სანამ ამ ზომების შედეგებს მივიღებდეთ, ჩვენ არ უნდა დაუშვათ ფაბრიკებისა და ქარხნების შეჩერება. ამისათვის ჩვენ უნდა გავაძლიეროთ შეშის გადმოტანა რკ. გზებით. საჭიროა სათბობ ფრონტზე საუკეთესო ენერგიულ მუშაკების გადაყვანა. საჭიროა ამასთანავე მიექცეს მთავარი ყურადღება სათბობ მასალის ეკონომიური ხარჯის გაწევას.

სათბობ მასალის კრიზისმა უნდა გააძლიეროს ჩვენი დისციპლინა და შეკავშირება. გაზაფხულამდე ჩვენ უნდა გამოვზიდოთ ტყეებიდან საჭირო რაოდენობა შეშისა. მშრომელ ხალხზე არის დამოკიდებული ამ ჟამად შეჩერდება თუ არა ჩვენი ფაბრიკები და ქარხნები, რომლებმაც სულ მოკლე ხანში დაიწყეს მუშაობა, უნდა აღინიშნოს კი, რომ ერთი თვის შეჩერება დიდ უბედურებას დაატეხს თავზე საბჭოთა რუსეთის მშრომელ ხალხს.

**ქარხნების და რკინის გზების შესახებ.**

**მოსკოვი.** 13 თებერვალი. სათბობ მასალის კრიზისი ჩვენ მეურნეობაზე მძიმე გავლენას ახდენს. პეტროგრადში შეჩერდა მუშაობა ფაბრიკებმა და ქარხნებმა. შეჩერა მოძრაობა ზოგიერთ რკინის გზებზედაც. ეს გაგრძელდება მანამ, სანამ ის ზომები, რომლებიც ჩვენ დონის რაიონში მივიღეთ, საგრძნობ შედეგებს არ მოიტანს.

## გერმანული ცნობები

**პარიზის კონფერენციის წინააღმდეგ.**

**ნაუენი.** 12 თებერვალი. გერმანული პრესა იუწყება: გერმანიის მთავრობა მტკიცეთ იცავს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც გამოიტანა მან პარიზის კონფერენციის რეზოლიუციის წინააღმდეგ. პასუხი, რომელიც მან გასცა ინგლისს ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ გერმანიის მიზანია, დაიცვას თავისი კონტრ წინადადებანი. მრავალ რიცხოვან მიტინგზე ბერლინში პროტესტი გამოაცხადეს პარიზის კონფერენციის გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ: „ყოველი გერმანელი, მამა კაცი იქნება იგი, ქალი თუ ბავშვი, იძულებული იქნება გადაიხადოს 50,000 მარკ საფრანგეთის სასარგებლოთ. გერმანიის პრესა გაკვირვებულია, ომლიბრის წერილით... (გამოტოვებულია).

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

თებერვლის 14.

## რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური).

**სათბობი მასალა.**

**მოსკოვი.** 13 იანვ. მთავარი ყურადღება ჩვენ შეშის დამზადებას უნდა მივაქციოთ, საჭიროა 11 მილიონ კუბ. საჟენის შეშის დამზადება. განსაკუთრებულ მძიმე მდგომარეობაში იმყოფება პეტროგრადი, სადაც მთავარი სამრეწველო დაწესებულებები სათბობ მასალის უქონლობის გამო შეჩერდენ. ეს დროული მოვლენა არის. მიღებულია სათანადო ზომები, რომლებიც მოგვცემენ საშუალებას მუშაობის დაწყების შესაძლებლობისას. დიდ დახმარებას გაგვიწევს ნავთი, რომელიც საკმაოდ არის მომარაგებული. ნაოსნობის დაწყებისას მთელი ფლოტი ნავთის გადმოტანას მოხმარდება. აპრილში შესაძლებელი გახდება წყლით იმდენი ნავთის მოტანა, რომელიც გაათავისუფლებს რკინის გზის მოძრაობას. ამის გამო კავკასიაში იგზავნება საგანგებო რწმუნებული, რომელმაც უნდა ადევნოს თვალყური იმ ორგანოთა მოქმედებას, რომლებიც განაგებენ ნავთის პროდუქტების ჩრდილო-კავკასიიდან რუსეთში გადმოზიდვას.

**სათესლე ხორბალი.**

მრავალ რიცხოვან ფრონტებს კიდევ ერთი ფრონტი მიემატა საჭიროა გლეხებისათვის დახმარების აღმოჩენა. ამისათვის ჩვენ არავითარი ძალღონე არ უნდა დავიშუროთ. გლეხთათვის ყოველგვარ დახმარების აღმოჩენის მომწყობის როლში უნდა გამოვიდეს თვით სახელმწიფო. უმთავრესად ამ ჟამად სოფელს სჭირია დახმარება სათესის მიწოდებით და სურსათ-სანოვაგით. სახელმწიფოს რომ ჰქონდეს მომარაგებული ხორბლის საკმაო რაოდენობა, იგი შეძლებდა თავის დროზე მიეტანა ხორბალი იმ ადგილებში, რომლებიც ამას საჭიროებენ, მაგრამ სახელმწიფოს

## საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

14 თებერვალი.

**საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.**

**სტამბოლი.** „ბოსფორი“ — „საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო“-ს სათაურით მოთავსებულ წერილში სწერს შემდეგს: საზავო კონფერენციამ საქართველოს დამოუკიდებლობა იურიდიულათ ერთხმად იცნო. მათთვის, ვინც იცნობს ამიერ კავკასიის საქმეებს, ეს ცნობა იყო მხოლოდ დროის საკითხი. ერთი წლის წინად დასთანხმდნენ მოკავშირენი პრინციპიალურათ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობაზე. სამი წლის უკან გამოაცხადა საქართველოს რესპუბლიკამ თავისი დამოუკიდებლობა და მთელი ამ ხნის განმავლობაში მას არ შეუწყვეტია ბრძოლა თავის თავისუფლებისათვის და ყველა დაარწმუნა, რომ მას შესწევს ძალა დამოუკიდებლათ გაუძლვეს თავის თავს. საქართველოს რესპუბლიკამ უცხოელთა დაუხმარებლათ გადალახა ის საშიშროებანი, რომლებიც მის დამოუკიდებლობას ემუქრებოდნენ.

მიუხედავათ მეზობლებისა და ბოლშევიკების მუქარისა, საქართველომ თავისი ჯარის გმირობით და ხალხის ერთსულოვნებით და თავისი დიპლომატების ბრძნული მოქმედებით შესძლო აეშორებია თავიდან დაბრკოლებანი, აღედგინა შინაური წესიერება და გაძღოლოდა თავის თავს თავისივე ძალებით. დამოუკიდებელი საქართველო ამაში უმთავრესად უნდა უმადლოდეს თავისი ქვეყნის ოთხ გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს: ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილს, აკაკი ჩხენკელს და ევგენი გეგეჭკორს.

**მესოპოტამიაში.**

**ლონდონი.** „ტაიმსი“ იუწყება: თანახმად მესოპოტამიაში მყოფ ინგლისის უმაღლეს კომისარის მოხსენებისა, მესოპოტამიის თავდაცვის მინისტრი ჯაფარ-ფაშა ასრულებს მკვიდრთაგან შემდგარ ჯარის ორგანიზაციას. ამ ლაშქარმა უნდა შესცვალოს ინგლისის საოკუპაციო ჯარები, დაიცვას ქვეყანა და შინაური წესიერება.

**ანგორის მთავრობის პოზიცია.**

**სტამბოლი.** ოსმალურ გაზეთ „ილერი“ ანგორის მთავრობის პოზიციის დამახასიათებელი შემდეგი ცნობები მოჰყავს: ქემალის მთავრობამ გადასწყვიტა შეაჩეროს სამხედრო მოქმედება გაზაფხულამდე. მაგრამ უკანასკნელმა მოვლენებმა აიძულეს მთავრობა გადაესინჯა თავისი გეგმა. ამ ჟამად დიდი სამხედრო სამზადისი სწარმოებს. მთავრობა აძლიერებს სომხეთისა და საბერძნეთის ფრონტებს. უმთავრეს ყურადღებას იგი საბერძნეთის ფრონტს აქცევს. რაც შეეხება ანგორის მთავრობის მოსკოვთან დამოკიდებულებას, თუმცა ეს დამოკიდებულება გარეგნულათ მეგობრულია, მაგრამ ეს არ მოასწავებს იმას, თითქოს მათ შორის მტკიცე კავშირი არსებობდეს. ამ უნდობლობას საგრძნობლათ აძვიადებს სომხეთის ქემალისტებთან აგრესიული დამოკიდებულება. ანგორის მთავრობა ანგარიშს უწევს აგრეთვე იმ უკმაყოფილებას, რომელიც არსებობს ჩრდილოეთ კავკასიისა და ადერბეჯანის მცხოვრებთა შორის და რომელიც ბოლშევიკების ოკუპაციით არის გამოწვეული. საბჭოთა მთავრობა არავითარ ანგარიშს არ უწევს იმ ხალხთა ეროვნულ უფლებებს, რომლებმაც მათ ჩრდილოეთ კავკასიაში შემოსვლის დროს მეტად დიდი დახმარება გაუწიეს. ეს საერთო მიზეზები იწვევენ უნდობლობას მოსკოვის მთავრობისადმი.

## იტალიის საელჩოს რადიო ცნობები.

**პარიზი.** 11 თებ. ჰელსინგფორსიდან მიღებული ცნობების თანახმად მოსკოვიდან მიღებულია რადიო-ცნობა, რომ ათ თებერვალს ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას რუსეთსა და პოლონეთს შორის.

# ახალი ამბები.

დღეს, საღამოს 7 საათზე მუშათა სასახლეში დანიშნულია საქართ. პროფ. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა.

◆ **რუსთა ყრილობის შესახებ.** დადგენილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრისა თებერვლის 11. 1921 წ. მე, შინაგან საქმეთა მინისტრმა გავეცანი რა რუსთა ეროვნულ საბჭოს განცხადებას, რუსთა ყრილობის მოწვევის შესახებ და ვღებ რა მხედველობაში, რომ წესი ეროვნულ კავშირთა შედგენისა განსაზღვრული იქნება რესპუბლიკის კონსტიტუციით და რომ კავშირის შედგენის უფლებით ისარგებლებენ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი თანახმად 1919 წლის 27 მაისის მოქალაქეობის კანონისა ვადგენ: ეცნობოს რუსთა ეროვნულ საბჭოს განზრახული ყრილობა გადადებულ იქნეს კონსტიტუციის კანონიერი გზით გამოცხადებამდე. ასლი დადგენილებისა ეცნობოს მილიციის უფროსებს.

◆ **პროფ. მელიქიშვილის ავათმყოფობის გამო.** პროფესორ მელიქიშვილს, რომელიც ამ ჟამად ავათაა და მ ხეილის საავათმყოფოში წევს, თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნეს ქართულ-გერმანულ საზოგადოებამ და სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეურნეო დარგის მეოთხე კურსის სტუდენტებმა.

◆ **საქართველო და პოლონეთი.** საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა რადიო-დეპეშით აცნობა მთავრობის თავმჯდომარეს, რომ 28 იანვარს პოლონეთის მთავრობამ იცნო საქართველოს რესპუბლიკა იურიდიულად. (სდს)

◆ **ბაქოდან ჩამოსულის სარწმუნო** პირის ცნობით, ბაქოში, გარდა ჩვენი წარმომადგენლობისა, არავინ არაფერი იცის საქართველოს იურიდიულათ ცნობის შესახებ. სამაგიეროთ, დიდის ამბით და კარიკატურებით ათავსებდენ ბაქოს კომუნისტები ცნობებს ბ. ჩხიკვიშვილისა და შ. ნუცუბიძის შორის მომხდარ ინციდენტის შესახებ.

◆ **ტყიბულის ქვა-ნახშირის გამოტანა** თანახმად იმ კომისიის ცნობისა, რომელიც ტყვიბულის ქვა ნახშირის გადაზიდვას ადევნებს თვალ-ყურს ტყვიბულიდან ყოველ დღიურათ 70 ვაგონ ქვა-ნახშირი გამოაქვთ.

◆ **ნავთის დარიგება.** სასურსათო განყოფილებამ გასცა განკარგულება, რომლის ძალით ორშაბათიდან, თებერვლის 4 დან, დარიგდება ბარათებით ნავთი. ნავთის შემოტანის შეჩერების გამო ნაცვლად 20 გირვანქისა თითო ბარათზე გაცემული იქნება ათი გირვანქა

◆ **მატარებელთა მიმოსვლის მოწესრიგება.** რკინის გზის მოძრაობის მოსაწესრიგებლათ და ტყიბულის ქვანახშირის გაზიდვის გასაუმჯობესებლად თანახმად მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებისა მოძრაობის თვალყურის სადევნებლათ დანიშნულია მთავრობის საგანგებო რწმუნებულები: ხაშურის რაიონში—დამფუძნებელი კრების წევრი ცინცაბაძე, ზესტაფონ შორაპნის რაიონში—ა. მარგველაშვილი და ქუთაის-ტყვიბულის რაიონში ნ. პაპინაძე. აღნიშნულ პირებს ევალებათ ადევნონ მკაცრი თვალყური არა მარტო მატარებელთა წესიერ მიმოსვლას, არამედ რკინის გზელთა შორის დისციპლინის დაცვას და მინდობილ საქმის მოწესრიგებას.

# სოც.-დემ. პარტიაში

## კრებები

**დღეს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია საქ. სოც. დ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა.**

— დღეს, საღამოს 5 ს. დანიშნულია ს. დ. სტუდენტთა ბიუროს სასწრაფო სხდომა; სხდომაზე მოწვეულნი არიან შემდეგი სტუდენტნი: ა. ჩიჩუა, ვ. ფირცხალავა, ბ. კალანდარიშვილი, ს. ედიბერიძე, ვ. ნუცუბიძე, ლ. ციცაგი, შ. დუდუჩავა, ივ. წერეთელი, პ. ფირცხალაიშვილი, ეტ. ლატარია, დ. ლომთაძე, ი. კანკავა, სოკ. ძიმისტარიშვილი, ამბ. ქანთარია, ს. მელია, ი. სიხარულიძე, გ. თაყაიშვილი, არ. თარიანი, ფ. ცისკარიშვილი, ე. ხატიაშვილი, კ. სამყურაშვილი, აკ. ჭყონია, კ. კიდია.

## განცხადებანი

**ოთხშაბათს, 16 თებვალს, საღამოს 6 საათზე ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლში შესდგება საზოგადო კრება ს. ს. დ. მ. პარტიის პირველი და მეორე რაიონისა. მოხსენებას გააკეთებს ამხ. ნოე ჟორდანია შემდეგ თემაზე პარტია, სახელმწიფო და პარტიული დისციპლინა** (3—2)

— მეოთხე რაიონული კოლექტივი თავის წევრთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ რაიონული კოლექტივის ბიურო ღიაა ყოველ დღე გარდა უქმეებისა დილით: 12—2 საათამდე და საღ. 5—7 საათამდე. (5—4)

— **ქ. გორში,** კვირას. 20 თებერვალს დილის 10 საათზე (სამაზრო კომიტეტის ბინაზე, ერთობის ქ.) შესდგება ს. ს. დ. მ. პ. გორის სამაზრო კომიტეტის კრება. გასარჩევია ფრიად სერიოზული კითხვები: კომიტეტის წევრებს ვსთხოვთ აუცილებლად დაესწრონ. კრება მეორეჯერაა მოწვეული და რამდენი წევრიც არ უნდა გამოცხადდეს კანონიერი იქნება. (5—4)

რკინის გზების სამმართველოს რაიონის ს. დ. მ. პარტიის კოლექტივი აცხადებს ხსენებულ რაიონის პარტიის წევრთა საყურადღებოთ, რომ მათ დააჩქარონ წარსული წლის მათზე დარჩენილი და მიმდინარე წლის 6 თვის ახალი პარტიული საწევრო გადასახადის შემოტანა-ქვეკოლექტივში. ვინც არ შემოიტანს, ჩაითვლება პარტიიდან გარიცხულად მათი სახელისა და გვარების გაზეთში გამოცხადებით.

## ქ. ქუთაისი

— 20 თებერვლიდან განახლდება მეცადინეობა სახალხო უნივერსიტეტის საღამოს კურსებზე.

კურსები მოთავსებულია პროფ. კავ-

---

სწორედ ისინი, რომელნიც ჩვენი ჯარების შესვლისას ტურებივით ლობეღობე კნაოდნენ—სომხეთის ტრაღედიის დროს, შინ იყვნენ დარჩენილები..

კრებაზე ხალხმა მოიჩივლა, რომ გზები დაკეტილია, როგორც სომხეთისკენ მიმავალ, ისე თფილისისკენ.. მომწყვდეულები არიან.., საქონელი არა შემოდის რა... არა აქვთ პური, მარილი, ნავთი... რომ მოხსნილიყო საბაჟო ჩვენ თფილისში ჩავიტანდით და საჭირო საქონელში გადავცვლიდით მატყლს, ყველს, ერბოსა, თაფლსაო.

დაგვპირდნენ, რომ აღარ აჰყვებიან ავანტიურისტებს... სადა გვაქვს თავი ჩოჩქოლისა და შფოთისათვისო... სამარცხვინოდ ისიც გვეყოფა, რომ ავყევით წასისიანებს და სომეხ ქართველთა ომის დროს ძმათა სისხლით გავისვარეთ ხელიო...

სალამი გაუგზავნეს მთავრობას და დამფ. კრებას.

**ახპატი, ვორონაკი, ხანაინი.**

სიტყვა ახპატი ჰნიშნავს თურმე „დაცულს ცბიერს მახეთაგან“... ზედ გამოჭრილი სახელია. არა თუ მარტო ახპატი, არამედ ყველა სოფლები, ლორტაშირის მთებზე გაშენებული, ისე მაღლაა და ძნელად მისავლელი, რომ დაწიოკებულს სომხობას მხოლოდ აქ შეეძლო სამშვიდობოში ეგრძნო და თავი დაერჩინა...

ახპატშია სომხების ხუროთ მოძღვრების შესანიშნავი ძველის ძველი მონასტერი...

მის აშენებაში ღვაწლი უნდა მიუძღოდეს ქართველებსაც. ის აგებულია ქართველთა ძლიერების დროს, როცა [illegible] ითვლებოდა ყველა ქრისტიანთა [illegible]ლად და მწეთ... ახპატის ტაძრის წარწერები იხსენიებენ დავით აღმაშენებელს და სხვა ქართველს მე-

ახპატი ითვლება პირველ მხარგრძელების სამარხად...

მე XII საუკ. მოღვაწენი ივანე და ზაქარია მხარგრძელნი აქ ასაფლავიან...

ახპატელებს გაეგოთ თუ არა, რომ დამფ. კრების წევრები მოდიან ჩვენსაო —ადრიანვე შეყრილიყვნენ, სხვა სოფლებიდანაც დაებარებინათ ხალხი და გზაში შემოგვეგებნენ პურ-მარილით...

— გმადლობთ მოსვლისთვისო,—მოგვმართა მათმა წინამძღოლმა...—სიამოვნებით ვღებულობთ საქართველოს ქვეშევრდომობას... გვწამს საქართველო ისევე იქნება სომხეთა ინტერესების დამცველი, როგორც ქართველებისაო.

აქაც იმის შესახებ სჩიოდენ, რომ საბჭოთა მეხებით ეკონომიურად მოწყვეტილნი არიან საქართველოს და თხოულობენ თავისუფლად შეეძლოთ საქონლის გატან-გამოტანა...

საბაჟოს მოხსნის დაგვიანება გამოწვეულია იმით, რომ ზონაში ათასობით ლტოლვილებია და იგინი თფილისისკენ იქივლებდნენ—გზა რომ მთლათ თავისუფალი ყოფილიყო.

გაიწმინდება თუ არა ლორი ლტოლვილებისაგან ყოველგვარი დამაბრკოლებელი მიზეზები მოისპობა და ყველას თავისუფლად შეეძლება მიმოსვლა.

**დ ი ს ი ხ ი.**

მთელს ლორში ორი სოფელია, რომელიც მეთაურობდა ხალხის მომწამვლელს პირებს და თუ მათ ჰეგემონია შერჩათ უარესს ჩაიდენენ...

ეს სოფლებია: დისიხი და უზუნლიარი...

ამ ორს სოფელშია მოკალათებული დაშნაკელობა და აქედან ეფინება ყველა სოფლებს საქართველოს შესახებ ინსინუაციებით გაჟღენთილი ამბები.

თუ სხვა სოფლებში ვერა ჰბედავდნენ დაშნაკელები კრებაზე გამოჩენას, აქ გენერალური ბრძოლაც კი მოგვცეს... ერჩივნათ კი ჩუმად ყოფილიყვნენ, ვინაიდან დამარცხდნენ სასტიკათ...

კრების გახსნისავე თავს ყადებივით წამოგვეყუდნენ დაშნაკელი ინტელიგენტები და იწყეს ფქვა დაშნაკური მუხანათობისა... კრებას თავმჯდომარეობდა დაშნაკელი. მისს დასახასიათებლად საკმარისია მისი სიტყვა:

— მოვიდა საქართველო, კეთილი იყოს მობრძანება, წავა და გზა მშვიდობისა... ეს იმ კილოთი იყო ნათქვამი თითქოს გვეუბნებოდნენ: გული არ გვეფითება თქვენთვის... ნუ გვშინიათ, თუ წახვალთ კალთებს არ დაგაბღლვნითო... ამას იზიარებდნენ სწორეთ ის სომხები, რომელთაც იარაღი ესხა და მტერს გამოექცა, ჩვენს მიწა-წყალზე გადაარჩინა თავისი უბადრუკი არსება... რა ეშველებოდათ მაგ უბედურებს ჩვენში რომ არ შემოეფარებინათ თავი... რატომ მარტო ამას მაინც არ უწევენ ანგარიშს, რატომ არ გვაფასებენ, მაგრამ მადლი მატლად გადაგვიქციეს... მხოლოდ ამაში არიან სწორ-უპოვარი შემოქმედნი...

— ჩვენ ჯერჯერობით ვერ გადავწყვეტთ თუ ვის მივემხრობით,—განაგრძობდა თავმჯდომარე... ბრძოლაა გაჩაღებული სხვადასხვა მიმდინარეობათა და სახელმწიფოთა შორის... ვინც გაიმარჯვებს მას დაუჭერთ მხარსო...

ასეთივე შინაარსისა იყო სომხეთიდან გამოქცეული ერთ ერთი მაზრის ეროვნების თავმჯდომარის და მისი დამქაშების სიტყვები...

ყოველგვარს ჩვენს ცდაზე, რომ აგვეხადნა ფარდა და თვით ხალხი აგველაპარაკებინა—იგინი აბათილებდნენ და გრძელ-გრძელ სიტყვებს აპახრაკებდნენ, რომ არავის მოეხერხებინა სიტყვის აღება...

ველარ მოითმინა ეს ამხ. მიკიჩა ვარდოიანმა. გაცეცხლდა, პირდაპირ მიახალა:

— რა პირში გვიცვივით... თქვენთვის არ მოვსულვართ... თქვენ კარგა ხა- [illegible] აზრის გასაგებათ... აცალეთ მათაც ლაპარაკი...

ჯერ სდუმდა ხალხი, რაღაცას ჰშიშობდა... მაგრამ როცა გადმოვყაჭეთ დაშნაკელთა ბნელი ზრახვები და საქმენი—გამბედაობა მოეცათ, ენა ამოიდგეს და ილაპარაკეს სულ წინააღმდეგი იმისა, რაც პირველთაგან მოვისმინეთ...

— საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ არ წავალთ... ჩვენ ძალიან გვესაჭიროება მისი მფარველობა..

გაგიხარიან, რომ ამ განცხადების შემდეგ მოსტყდნენ დაშნაკელები... გაგულისებური კილო თნებით შესცვალეს, ლაქუცი დაგვიწყეს.

ერთხმად იქმნა მიღებული მისასალმებელი დეპეშა მთავრობასა და დამფ. კრებისადმი...

კრების შემდეგ ბევრმა სოფელმა გვითხრა:

— ნუ მიაქცევთ ყურადღებას იმ ვაჟბატონებს წელან რომ ხალხის სახელით ლაპარაკობდნენ... ეგენი რომ კეთილი სულები იყვნენ—სომხეთს არ დაჰღუპავდნენ და არ გამოიპარებოდნენ... არავის მოვეწონს ეგენი, მაგრამ ვშიშნეულობთ, ხმა გვაქვს ჩაწყვეტილიო...

ეტყობოდა გულწრფელად გვეუბნებოდნენ ამას მცხოვრებნი, მაგრამ მაინც არა მჯეროდა, რომ იგინი მთლად გახკურნებული არიან დაშნაკელების დამღუპველ გავლენისაგან... მათ გონება გაუბრწყინდებათ ხოლმე მაშინ, როცა თვალებში შეანათებს ჭეშმარიტების მქადაგებელი, მაგრამ საკმარისია წავიდეს ის და მოევლინოს დაშნაკელი თავისი მუზუზელობით და ქვებუდანობით, რომ კვლავ ჩაუქრეს ნათელი აზრი, დაჰკარგოს უნარი თვით განსჯისა და ისევ გახდეს ბრმა იარაღი დაშნაკელობის...

მრავალთა შორის აქ სცხოვრობს გამოქცეული სომხის მსახიობი ვრიური... ასე გამაცნო თავი:

[illegible] გადამ ქცია სომხეთის უბედურებამ... ეხლა ჩემი საოცნებო ისაა, რომ როგორმე ჩავაღწიო თფილისს და იქ მოვასვენო დაღლილი გრძნობა-ფიქრებიო...

დისიხი სამშობლო სოფელია ცნობილი მგოსნის ოვანეს თუმანიანისა.

**შაგალი.**

ბოლშევიკებმა ყურები გამოგვითქვიფეს მტკიცებით: სომხეთს დემოკრატია შეგრებული აღმოჩნდა, საბჭოთა წყობილება მიიღო, ჯერ ისევ ბნელია ქართველი დემოკრატია და იმიტომ მისჩანჩალებენ მენშევიკებსაო.

შაგალი მგონია სომხეთის საზღვრებში იყო მოქცეული... აქაური გლეხობა ხორცი ხორცთაგანია და სული სულთაგანი სომხის დანარჩენ გლეხობისა და ეს ხალხი ბნელია... ყრუ... გასაცოდავებული... ის დაღლილია, დაქანცული... აღარავინა სწამს... აღარაფრის იმედი აქვს, რომ რაიმე ძალას შეეძლოს მათი აღდგენა... „სომხის მთავრობამ ასეთს ყოფაში ჩაგვაგდო და საქართველოს მთავრობა რას დაგვინდობსო“.

ამხ. ვარდოიანი სცდილობს ჩააგონოს ხალხს... ელაპარაკება, თუ რა განსხვავება არსებობს სომხისა და საქართველოს მთავრობათა შორის...

საწყალი მიკიჩა, საწყალი... ჯოჯოხეთური ცეცხლით ეწოდა სულ-გული... იგი სცდილობდა თანამოძმეთა თვალის ახელას, მაგრამ ბევრი ისე დაემახინჯებინა მარად ბეჩაობაში ყოფნას, რომ ვერ მიხვედრილიყვნენ კეთილის მყოფელის ახსარებას...

ვარდოიანი რევოლიუციონურს საქართველოზე ელაპარაკებოდა, რომლის ბჭეებზედაც ფრიალებს წითელი დროშა და რომელიც ბრძოლის ცეცხლით უნთებს გულებს ყველა ერთა შვილებს. იმათ კი ბედასლების გამომეტყველება მიეღოთ და წუწუნებდნენ:—არ შეგვიძლიან ბრძოლა, ოსმალებიც რომ მოვიდნენ—არ ვეურჩებით ..

მდევებივით ვაჟკაცები იყვნენ, თავ[illegible] და ასე სულმდაბლურად კი ლაპარაკობდნენ...

ვახუშტი ბატონიშვილი მე-18 საუკუნეში აღწერდა ლორის სომხებს და ასე ახასიათებდა;

„მოსილნი არიან ბინძურად და გაზეთილნი, გრძელ ჩოხიანნი, ავფერ უშვერად, განა არიან ჰაეროვანნი და ტანოვანნი, შემძლენი, ლაშქრობათა შინა გამოუცდელნი, უხმარნი.“*)

უმეტ ნაკლებო დახასიეთებაა!

ბევრი სომხობა შემდეგ საუკუნეში შემატა ლორის მეთვრამეტე საუკუნის სომხობას, მაგრამ ისინიც იმავ ჯილაგისა და კბილისანი არიან, როგორც პირველი.

შაგალელებმა რეზოლიუციის გამოტანის დროსაც „თავისებურობა“ გამოიჩინეს,—„რაც გადაწყვეტილებაც დისიხმა მიიღო—(იცოდენ, რომ დისიხი დაშნიკელთა ბუდეა)—იმას დაუჭერთ მხარსაო. ჩვენ ვაჩვენეთ იქაური ოქმი და მათაც სალამი შეუთვალეს ჩვენს მთავრობას.

**უზუნლარი.**

უზუნლარი მოზრდილი სოფელია. 700 კომლი მცხოვრები იქნება. ხალხი პირ-კუშტია, გულჩათხრობილი. იმ თავიდან აქ თავმდის თავშესაფარათ ითვლება ყველა ჯურის ჯეილებისათვის. ყაჩაღები, დაშნაკელები ბოლშევიკები— ყველანი თავიანთს გასტროლებს აქედან იწყობენ.

სომხებთან ომის დროს დიდი წინააღმდეგობა ამ სოფლელებმა გაუწიეს ჩვენს ლაშქარს... სანაინში ესენიც იყვნენ, რომ ჩვენი ჯავშნიანი მატარებლები მოიმწყვდიეს და ჯარისკაცები დაგვიხოცეს.

აქ უნდა იყოს დიდძალი იარაღი, მაგრამ ისე აქვთ მიმალული, რომ ბელიარ ეშმაკიც ვერ მიაგნობს.

კრებაზე მოვიდნენ 7 სოფლის წარმომადგენელნი... იყვნენ ისეთები, რო-

*) საქართველოს გეოგრაფია. ვახუშ-

შირების ბინაზე. მეცადინეობა იქნება კვირაში სამჯერ: ორშაბათობით, სამშაბათობით და პარასკეობით. ლექციები წაიკითხება შემდეგ საგნებზე: 1) პოლიტიკური ეკონომია, 2) ქართული ლიტერატურა, 3) მსოფლიო ისტორია, 4) საქართველოს ისტორია, 5) გეოგრაფია, 6) ბუნების მეტყველება, 7) ჰიგიენა, 8 კოოპერაცია და სხ.

— 26 თებერვალს, „კოოპერაციის" ბინაზე (ყოფილ საზოგადო საკრებულოს ბინ) გაიმართება დიდი სალამო ბალმასკარადით. წმინდა შემოსავალი გადაიდება სახალხო უნივერსიტეტის და პროფესიონალურ კავშირების სასარგებლოთ. იმედია, ქუთაისის საზოგადოება აღნიშნულ სალამოს სიმპატიით შეხვდება.

— 1 თებერვალს ქუთაისის სარაიონო კოოპ. კავშირის ბინაზე შესდგა, ამავე კავშირის კოოპერატივებში მომუშავე მოანგარიშეთა ყრილობა. ყრილობას შინაარსიანი სიტყვით მიმართა გამგეობის წევრმა ამხ. კ. წერეთელმა და უჩვენა ნაყოფიერი მუშაობა. მოხსენებების შემდეგ ყრილობამ დაადგინა სოფლებში კოოპერატიული წრეების მოწყობა, რომლის ხელმძღვანელობა დაეკისრა მოანგარიშეებ; ამხანაგები უნდა ჩაეწერონ წევრებად ქუთაისის რაიონის მოკავშირე კოოპერატივებში მომუშავეთა საურთიერთოდამხმარე კასაში; კრებამ სურვილი გამოთქვა, აგრეთვე, რათა კოოპერატივებში მომუშავეთათვის დაარსდეს ცალკე პროფ. კავშირი.

ყრილობაზე გამოირკვა, რომ შედარებით წინანდელთან ამ ქ მად ანგარიშების საქმე და სხვა, კოოპერატივებში უკეთ არის დაყენებული.

## ნეკროლოგი

**სოფიო ლეჟავა.**

გარდაიცვალა დაუღალავი პარტიული მომუშავე სოფიო ლეჟავა.

პატარა ადამიანი იყო ის, მაგრამ თავისი პატარა ვალდებულებების სპეტაკათ და პირნათლად ამსრულებელი. არასოდეს დავალებას არ გაექცეოდა. ტრიალობდა პარტიულ ორგანიზაციებში.

იყო ქალთა ორგანიზაციის წევრი და პარტიული „იაჩეიკების" მეთაური. რეაქციის დროს მას რევოლუციონური მოძრაობის გამო ჯერ ციხეებში მყოფი და შემდეგ უადგილოთ დარჩენილი ქმარი გარდაიცვალა და სრულიად უმწეოდ დარჩენ სოფიო და მისი ორი მცირე წლოვანი ბავშვები.

დღეს ამხ. სოფიო სამუდამოთ მოგვშორდა და ორი უმწეო ბავშვი დასტოვა.

ცოტა გვყავს სოფიოსთანა მებრძოლე ქალთა წრიდან, და ამიტომაა მისი დანაკლისი საგრძნობი და სამწუხარო.

ამხანაგ მეგობრები სოფიოს ნამდვილ წარს არ დაივიწყებენ და მის სახელს მუდამ პატივით მოიხსენიებენ.

ამხანაგების მონდობილებით. მ.

## რკინის გზაზე

ფრონტზე გვარდიელებისათვის სურსათ-სანოვაგე იგზავნება სადგ. თფილისიდან. დიდ სამსახურს გვიწევს ამ საქმეში ტეხნიკურ კანტორის მოხელენი ამხ. ჯიქიას მეთაურობით. მაგრამ არიან ზოგიერთი ულირსი მოხელენი, რომლებიც არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობენ მოვალეობის ასრულების დროს და საქმეში ხელს გვიშლიან მაგალითისათვის მოვიყვან 9 თებერვალს სადგ. თფილისში მომხდარ ინციდენტს.

ფოილოს მიმართულებით მიმავალ მატარებლისათვის უნდა მიგვება ორი სურსათ სანოვაგით დატვირთული ვაგონი. სათანადო საბუთები ტეხნიკურ კანტორის მიერ დროზე იქნა დამზადებული. საჭირო იყო ერთი ვაგონის საბუთების გატანა სამხედრო კასაში. ლიტერის ამოსაწერათ გავგზავნე მე ამხ. კაკ ხიძე; მეც იქვე ვიყავი. როდესაც გვარდიელი მივიდა კასასთან,— მოლარე ქალმა ლიტერი გადმოუგდო და უთხრა—ხვალ მოდი, ეხლა დრო არა მაქვს. მაშინ მე მივმართე მოლარე ქალს და განუმარტე, რომ ეს საქმე გადადებას არ ითმენ-თქო. მოლარე ქალი კი ქუჩის ამოშორებით სადილეთიდან და მუსაიფობდა, უსაქმოდ მყოფ კერძო ქალებთან (ხუთი იყო) და თან საქსოვით ერთობოდა. ჩემი მოთხოვნის შემდეგ მან უთხრა კასაში მყოფ ვინმე გეკელაშვილს დაემზადებია საბუთები, თვითონ კი განაგრძობდა ქსოვას; მაგრამ აღმოჩნდა, რომ გეკელაშვილისას არ სცოდნოდა საბუთების დამზადება და მოლარე შორიდან უკარნახებდა დრო მიდიოდა და საბუთები კი არ იყო დამზადებული. მოთმინებიდან გამოსულმა მე შევნიშნე: აქ ტეატრი არ არის, რომ სუფლიორობის მოვალეობას ასრულებთ-თქო და მოვთხოვე სასწრაფოდ დამზადებია საბუთები. მოლარე წამოდგა და დაიძახა: „надоѣли эти гвардейцы"-ო როგორც იქნა, ძლივს ჩვენს საქმეს; შემდეგ მივიდა გვარდიელი, რომელიც ფრონტზე აგზავნიდა გაზეთებს და ამასაც ისევე გადმოუგდო ლიტერი, ხოლო დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ იმასაც გაუმზადა. რადგან ძლიერ მეჩქარებოდა მოვთხოვე ხელზე მოეცა საბუთები ტეხნიკურ კანტორაში წარსადგენათ; მან მიპასუხა: არც მოგცემ და არც გადაგზავნი საბუთებს. მაგრამ ტეხნიკურ კანტორის მოხელემ თვითონ მოვიდა და წაიღო საბუთები.

მე გამოვკითხე მოხელეს გვარი, მაგრამ მან არ მითხრა, რის გამო იძულებული ვიყავი მილიცია მიმეწვია, რის შემდეგ მითხრა: „მე გახლავართ მოლარე ბეჟურიშვილისა და ვნახავ, რასაც მიზამო".

საჭიროა ასეთ შეუფერებელ და უპასუხისმგებლო მოხელეების მოქმედებას სათანადო ყურადღება მიექცეს.

სამტრედიის ოლქის სახ. გვ შტაბის წევრი ხ. ნაკურაძე

## ფრონტის ფონდი

242) ვიტალი სოლომონის ძე პოლიანსკისაგან: სპიჩკა 1000 კოლოფი, 243) სამხედრო სამინისტროს ფეხსაცმელების სახელოსნოს გამგისაგან თამბაქო 1/4 გირ. გილზი 1 ყუთი. 244) რკინის გზის სასურსათო კომიტეტის მაღაზია № 3 მოსამსახურეებისაგან პაპიროსი 11 კოლოფი, ასანთი 12 კოლ. ხელის საპონი 4 ცალი. სარეცხი საპონი 1/2 გირ., წინდა 4 წყვ, თხილი 10 გირ. 245) ოტიენის აფთიაქისაგან ფინელის ბანტები 12 ცალი, აპრიკალურის მარლა 50 არშ, ტილოს ბინტები 2 ცალი, ბამბა 3 პაჩკა 246) მთაწმინდის საბავშვო ბაღ. ჩანთები საჩუქრებით 8 ცალი, კამფეტი 1 გირ., ნემსი და ღილები 1 ყუთი, ჩაი 1/2 გირ., ფანქარი 4 ცალი, ძაფი 4 კოჭა, საპონი 1 გირ., ფუფაიკა 1 ცალი, კონვერტი და ფოსტ. ქაღალდი 12 ცალი, წინდა 1 წყვ, ხელთათმანი 1 წყვ, ჟურნალი ჯეჯილი 4 ცალი. 247) კუკიჯანოვის საბავშვო ბაღიდან თხილი 2 გირ, ასანთი 100 ცალი, პაპიროსი 46 კოლ., სარეცხი საპ. 4 ნაჭ 248) ექიმ მიხეილ ზანდუკელისაგან შარფი ყელზე მოსახ. 100 ცალი. 249) გაიანე ლოლობერიძისაგან პაპიროსი 6 კოლ., სარეცხის საპონი 1 ნაჭ., ასანთი 2 კოლ. თხილი 1/2 გირ., 250) ნაძალადევის მეორე ქალაქის ი. წერეთლის სახელობაზე პირველ დაწყებითი სასწავლებლის მოწაფეებისაგან ჩანთები საჩუქრით 51 ცალი, ასანთი 13 კოლ., პაპიროსი 4 კოლ., 251) ქართველთა ამხანაგობა გრომესაგან მანდარინი 1000 ცალი. 252) ამხანაგობა „კავკასის" მუშებისაგან ჩანთები საჩუქრებით 22 ცალი. 254) მირინოვების ოჯახიდან პატრანტაში 1 ცალი, კაშური 1 ცალი, შპორი 1 წყ., ფანქარი 2 ცალი, სარეცხი საპ. 1 ნაჭერი, ძაფი 1 კოჭა, ნარმა 2 1/2 არშ, ლურჯი მატერია 1 1/2 არშ. ქუდი 1 ცალი.

—

მოქალაქე რედაქტორო! გთხოვთ ფრონტის ფონდს სარქის აბაზოვის ოჯახში შეკრებილს 12 თებერვალს ჩემს 3 ტარა ნათლულის სერიოჟა კარაპეტის ძე არუთინოვის ნათლობა ღამეს—ოცდა თოთხმეტი ათას ას მანეთს (34,100 მ.)

მადლობას უწირავ მთელს ოჯახს სტუმრებითურთ.

პეტ ვეკილოვი, აფხენტი ჯანგველაძე, ვანო [illegible]ძე

—

ალექსი ოგანოვის სახლში ნადიმზე შეგროვილი ფრონტის სასარგებლოთ. ვარანონოვი 1000 მან. მარუსია მაისურაძე 1000, ვარა ოგანოვ 1000, ვერა ტატუაშვილი 1000, სონა ოგანოვა 3000, ოლა მეპიტოვი 1000, ოლა მიმინოშვილი 1000, შუშანიკ ბაბალოვი 1000, ნასყიდ პამოვი 3000, ალექსი ოგანოვ 3000, გარეგინ ნონიევი 3000, დავით ხოჯიანცი 3000, ლადო მაისურაძე 3000, ხრისტ ფორ ანიევი 3000, მუსუბ ბაბაკაში 2000, სევერიანე კუჩავა 1500, ივან ბაბალოვი 1000, ალ ბერ ტონაგანი 3000, ვასილი თავლაშვილი 2000, პავლე მიმინოშვილი 3000, თედო მეჩიტოვი 3000, მ ხილ ოგანოვი 3000, კოლე ოგანოვი 3000, იაკობ ორატოვი 2000, ილიკო ელიკაშვილი 1000, ავეტიკ იბოლოშვილი 2000, არშაკ გოზალოვი 1000. სულ 55,500*)

მონდობილობით: ვახო ტატუაშვილი, ნასყიდ პამოვი.

(შემდეგი იქნება).

*) ფული მივიღეთ. რედ.

## პროვინცია

**თელავი** 26 იანვარს თელავის სამხედრო აღრიცხვის კანცელარიაში აღმოჩენილ იქნა თელავის სამაზრო ერობის ადმინისტრატიული განყოფილების მიერ [illegible] ბრონები.

ეს ბრონები გადმოხატება შემდეგში: როგორც კი გამოცხადდებოდა თურმე მობილიზაცია სამხედრო აღრიცხვის კანცელარიასთან ახლო მდგომი პირები ჩაეწერნენ მობილიზაციით გამოწვეულ სოფლებში, როდესაც მობილიზაციით გამოწვეული პირი მისცემდა მათ საკმაო ჯილდოს სამხედრო აღრიცხვის კანცელარია იძლეოდა განთავისუფლების მოწმობას და სოფლელიც არხეინათ ბრუნდებოდა სახლში. ასეთმა ბოროტებამ ბოლოს მასიური ხასიათი მიიღო, რასაც ყურადღება მიაქცია როგორც მაზრის, ისე თემის ადმინისტრაციამ. ადმინისტრაციამ ხელში ჩაიგდო რამდენიმე ყალბი მოწმობა, რაც აღრიცხვის უფროსს აცნობა, მაგრამ აღრიცხვის უფროსმა ადმინისტრატიული განყოფილების შეკითხვაზე არავითარი პასუხი არ გასცა.

წარსული წლის 22 დეკემბერს ადმინისტრაციამ იქვით ჩამოართვა შეიძლების მოწმობა არმენაკ არტემიძე ასლანოვს, ახალციხის მესამე ბატარეის ჯარის კაცს და გადუგზავნა სამხედრო აღრიცხვის უფროსს ბ. აზიკურს გასასინჯათ, მართლა აზიკურის მიერ არის გაცემული ეს მოწმობა, თუ ყალბია, მაგრამ ბ. აზიკურმა პასუხი შეკითხვაზე ადმინისტრატიულ განყოფილებას მხოლოდ მაშინ მისცა, როდესაც დამნაშავე პირები უკვე შეიპყრეს, როდესაც ყველანი გამოყვნენ თანაშემწეში და ასე [illegible] იყო. 22 დეკემბერს გაგზავნილ შეკითხვაზე სამხედრო აღრიცხვის უფროსმა ბ. აზიკურმა მხოლოდ 30 იანვარს გასცა პასუხი და დაადასტურა, რომ ადმინისტრაციის მიერ ჩამორთმეული მოწმობა ყალბია. რათ მოხდა ასე? რატომ მიეცა საშუალება სამხედრო აღრიცხვის კანცელარიის მოხელეს, თუ მოხელეებს, რომ მაზრის მცხოვრებლებიდან რამდენიმე მილიონი აეღოთ და რამდენიმე ასი საჯარისკაცო პირი ასე დაუჯელათ და თავისუფლათ [illegible]? რას აკეთებდა ბ. აზიკური? X.

—

**ხოფ. მუხიანი.** 6 თებერვალს შესდგა მუხიანის კოოპერატივის „სინათლის" წევრთა წლიური კრება. დღის წესრიგი იყო: 1) წლიური ანგარიშის დამტკიცება და 2) საპაიო ფულის გადიდება. გამგეობის თავმჯდომარემ გააცნო კრებას აქტივი და პასივი. აქტივი. კასა 32,406 მანეთი, საქონელი გასაყიდ ფასებში 15,676 მანეთი, ნისია წევრებზე 2.415 მანეთი, კოოპერატივთა კავშირში 1,389 მანეთი, ბანკის აქციები 5,250 მანეთი, ქონება 3,919 მან. 30 კაპ. სულ 161,052 მან. 30 კაპ. პასივი: საპაიო გადას 74942 მანეთი 30 კაპ. საწევრო 338 მანეთი, ვალი 41,069 მანეთი. ძირითადი და სათადარიგო თანხა 2837 მანეთი, საქონელზე დადებული მოგება 55 023 მანეთი, წმინდა მოგება 73,433 მანეთი. სულ 161,052 მან. 30 კაპ.

კრებამ ანგარიში ერთხმად დაამტკიცა.

მეორე საკითხმა კრების მონაწილეთა შორის დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია ზოგი წევრი ამტკიცებდა კოოპერატივის მავნებლობას და მოითხოვდა მის დახურვას, ამ სპეკულიანტ ჩარჩების წინააღმდეგ გაილაშქრა კრების უმრავლესობამ და პაი გადიდდა 2,000 მანეთამდე. ბ ფუთურიძე.

## ბიბლიოგრაფია

ბუნების საუფლოში: აბასთუმანი. წიგნი ანანია სალუქვაძისა, გამოცემა სილ. თავართქილაძისა.

—

იშვიათია საქართველოსთანა სილამაზით შემკული და ბუნებრივი სიმდიდრის სიუხვით დაჯილდოვებული ქვეყანა.

აგრეთვე იშვიათია ისეთი დაუდევარი ერი, როგორიც ქართველობაა.

დაინტერესებული უცხოელები დიდი ხანია შეუდგნენ ჩვენი ქვეყნის კვლევა-ძიებას, ჩვენ კი თვალ დახუჭულებივით ვცხოვრობთ ამ ჩვენს შეუცნობელ სამოთხეში.

მიწის გულში დაფარულ საუნჯის ვინა სჩივის,—ზერელე წარმოდგენაც არა გვაქვს მთელიან საქართველოზე.

ჩვენი საზოგადოება, ჩვენი ეგრედ წოდებული ინტელიგენცია სხვისა ქვეყნებს, განსაკუთრებით უზარმაზარ რუსეთს უფრო კარგათ იცნობს, ვიდრე თავის პაწია სამშობლოს.

ასევეა ლიტერატურისა და სხვა დარგებშიაც.

თუ დღემდე უკუღმართ გარემოებათა გამო ჯოვილევე ეს მისატევებელი იყო, დღეის იქით მისი ასე უყურადღებოდ დატოვება, მისი არ ცოდნა, დიდ ცოდვათა და დანაშაულობათ უნდა ითვლებოდეს.

ნეტავ დიდი მანძილის, დიდი სივრცისა მაინც იყოს!

სულ რამდენიმე დღეში შემოივლის მსურველი.

* *

სირცხვილია, სხვა არა იყოს რა, ასეთს სიმდიდრით სავსე ქვეყანაში სცხოვრობდე და გაჭირვებაში კი იმყოფებოდე.

უკულტურობაა, მეტი რომ არა ვ თქვათ, ამდენი სამკურნალო წყლები მოგეპოვებოდეს, ასეთს ბინების წიაღში მოახლეობდე და—კნინდებოდე, სნეულდებოდე.

კმარა!

დავტრიალდეთ!

ავამოქმედოთ მთელი ჩვენი შემოქმედებით უნარი, ჩვენი ნიჭი, ჩვენი ერთიანული ენერგია!

პატარაა საქართველო მაგრამ ოქროა!
საჭიროა მხოლოდ შრომა და ცოდნა!
საჭიროა სარგებლობა, გამოყენება!

* *

მდიდარი და გულუხვია ჩვენი ქვეყანა! ამოვიღოთ მის სიღრმეში უქმად დებული განძი და მოვახმაროთ მთელი ერის, მთელი ხალხის ბედნიერებას!

ნუღარ ვ უყურებთ!

შევუდგეთ საქმეს!

ავაყვავოთ, ავაღორძინოთ სამშობლო მხარე!

შევისწავლოთ ყოველი დარგი ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრისა!

აი საითკენ მოგვიწოდებს ამხ. ანანია სალუქვაძე, აი რა საკითხით გვაინტერესებს იგი ამ დღეებში გამოსულ თავის ახალ ნაშრომით, რომლის წაკითხვამაც მრავალ სასიამოვნო განცდასთან ერთად, ბევრი მწარე ფიქრებიც აღმიძრა.

* *

ამხ. ანანია სალუქვაძის ნაშრომი ბევრ რამეს შესძენს ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეთა შესწავლის მსურველთ, რომლითაც დაინტერესებული უნდა იყოს არამც თუ მარტო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, არამედ მთელი ხალხი, მთელი ჩვენი შეგნებული დემოკრატია, რომლის საკუთრებასაც შეადგენს ეს ქვეყანა და რომლის მადლიანი მარჯვენაც უნდა შეეხოს ამ ჯერ კიდევ ხელუხლებელ სალაროს დაულეველ სიმდიდრისას, მიწის გულს.

* *

მიუხედავათ თემად აღებულ საგნის სიმშრალისა, წიგნი პოეტური განცდითაა დაწერილი, მისი წაკითხვით თქვენ მიიღებთ ცნობებთან ერთად ესთეტიურ სიამოვნებასაც.

იგი დასურათებულია მრავალი სურათებით, კოხტა ფორმატისაა და შეიცავს 90 გვერდს. ფასითაც, დღევანდელ ბაზრის კვალობაზე არ არის ძვირი.

გ. ქ—შვილი.

---

შელთაც კარგა მანძილი გამოევლოთ... თუ თუზუნლარის მცხოვრებნი იქ ისე გაკერპდნენ, რომ მათს სოფელში იყო კრება და მცირედის მეტმა არავინ ინება მობრძანება...

ხალხმა აქაც ის აზრი გამოსთქვა, რომ მათთვის აშკარაა საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრების და წესების უპირატესობა—სხვა სახელმწიფოებზე... სწამთ, რომ მხოლოდ საქართველოა, საცა ყველა ერს შეუძლიან თავისუფლად განვითარდეს... გვიხარიან, რომ წევრნი გავხდით ამ რესპუბლიკისა...

**აკარაკი, ლოჯანი, ლორის ციხე.**

პატარა სოფლები... მიყრუებული კუთხე... უპატრონობით ილაჯ გაწყვეტილი და გასაცოდავებული ხალხი...

განუხორციელებელ ზღაპრებად ეჩვენებათ შესაძლებლობა მშვიდობიან ცხოვრებისა, კულტურულ განვითარებისა... ფატალისტურად დარწმუნებული არიან, რომ „მათთვის არც გათენებულა და არც გათენდება"...

აქაც ლტოლვილები არიან შემოხიზნულნი... ყველგან გხვდება ინგლისურ ტანისამოსში გამოწყობილი ახალგაზრდობა—რომელიც დაფეთიანებული გამოქცევია მტერს და აქ ქალაჩუნობს...

იგინი ლორის ციხის კალთებსაც მოშენებიან...

ოდესღაც ამ ციხეს აშენებდა დიდმეთქვი, შემმართებელი ქართველობა.. ეს აურებელი ლოდები საიდუმლო პოემებია ჩვენი „მიმქრალი შარავანდედისა"...

ამ კედლებზე გაიყინნენ მრავალთა ოცნებანი და იმედები... ვინ გაიგებს ამ პოემის ენას, ვინ მიჰხვდება წინაპართა რამდენი ლანდი მოსთქვამს ამ ნანგრევებზე?..

რაოდენი ლანდი ქვითინებს აუსრულებელს ნატვრაზე, გადატეხილს ხმალზე, შეგინებულს სამშობლოზე...

ბევრს არ ესმის, ახ, არ ესმის ამ ლანდთა ენა...

ბევრმა არც კი იცის ამ ციხის არსებობა...

მრავალ მრწყინვალე ამბავთა მომსწრეა ეს ციხე კოშკი.. აქ იყო საჯდომი ამირსპასალარისა და აქედან გაისმოდა მტრის თვალის დამყენებელი ამაყი ყიჟინა საქართველოს ავანგარდისა... ვაგლახ... ამ ციხემ მოისმინა გაწირული გედის სიმღერა საქართველოს დიდებისა...

ჩვენი კულტურის აჟუჟუნებული კერა მუდამ ჩაუქრია შინაურს გაუტანლობას... მაგონებს თვალები ამ ცხოვრების ერთს ეპიზოდს ოდინდელ ჩვენი ცხოვრებისა, როდესაც ამ ციხიდან ამირსპასალარი სპარსეთს მოციქულებს ჰგზავნიდა და ჯარებს იბარებდა, რომ მათი დახმარებით მოესპოთ გიორგი მესამის მეფობა, მახვილი ჩაეცათ საქართველოს გაძლიერებისთვის.

ციხე მუდამ შიგნიდან გატეხილა და ახლაც დიდებულებმა მოიწადინეს ამ ნაცადი ხერხის ხმარება.

როდესაც გიორგი მესამე ანისის ალებით გამარჯვებული ბრუნდებოდა—შინ ამბოხებას უწყობდნენ განდგომილები, რათა ტახტი დაემხოთ დემნასათვის.. მართალია კანონით მასზე უნდა გადასულიყო მეფობა, მაგრამ გიორგის უკვე მოწიფული ჰყავდა ასული თამარი, რომლის მეფობამ უკვდავების ელვარება მოჰფინა საქართველოს და რა თქმა უნდა, გიორგი ასე ადვილად არ დაუთმობდა ტახტს აჯანყებულებს... გაიმართა ბრძოლა... იძლივნენ შეთქმულნი და ლორის ციხეს მიაშურეს...

საბედნიეროდ ამაოდ ელოდდა ამირსპასალარი სპარსეთის მაშველ ჯარს... არ აუსრულდა მდაბალი მურაზი... ამ ჟამად არ გატყდა ციხე შიგნიდან...

რაკი გამარჯვების იმედი დაეკარგათ —შეამბოხენი მოტყდნენ და იარაღი დაჰყარეს.

მეფობის გვირგვინზე მეოცნებე დემნასაც იმედი დაეკარგა, საბოლოთ გადმოეშვა ციხიდან და [illegible] მოხრილი ვახლა ბიძას... ძლიერი იყო შურის ძიება განდგომილთადმი... განსაკუთრებით დაისაჯა დემნა... თვალები ამოსწვეს და დაასაჭურისეს.

კიდევ კარგი, რომ ამ სამწუხარო ამბავმა დიდი ზარალი არ მიაყენა საქართველოს, თორემ ხშირად ძვირად დასჯდომია ერს ღალატი და მთელი კუთხე აუმხედრებია მტერს...

რომ არ ყოფილიყო შინ შუღლიანობა—რა გასტეხდა ხალხს ამ დუღაბოვან ციხეთა ამშენებელს.

არა უშავს რა!..

მართალია დიდი ხნის ქვითინით მოიქანცა საქართველოს ჰაეროვანი ოცნება, ბევრი იმედთა ხომალდები შემუსრა მუხანათობის ზღვის მორევში, მაგრამ სანუგეშებელი და თავ-მოსაწონი მაინც ბევრი დაგვშთა...

მარტო ეს ციხე-კოშკებიც უკვე ბევრს რამეს მოგვითხრობენ და იმედით აფეთქებენ ჩვენს გულებს, ვინაიდან მკვრეთით ღაღადობ და ბრწყინვალე კულტურის შემქნა მას შეუძლიან, ვისაც ბევრი უპრძენია და უოცნებია ურუკნებელ ჟამთა დენაში.. ვაი იმ ერს, რომელიც ისე დაბადებულა, ისე უცხოვრია და ისე მიუძინია მარადისობის ძილით, რომ ერთი ბრწყინვალე ფურცელიც ვერ შეუტანია ქვეყანა ისტორიის ეტრატში.- ჩვენ რა გვიშავს!..

დაცემის დროსაც კი საქართველო ლამაზი ყოფილა..

ჭირში იცნობის ვაჟკაცი
მისი სიმაღლე სულისო...

ჭირში გაჩვენა ქვეყნიერობამ და აქი შორით შორს, უცხოეთში ჩანგურზე დამღეროდენ ხოლმე საქართველოს შვილთა საარაკო რაინდობასა და გმირობაზე...

ახლა გამარჯვებათა ჟამი დაგვიდგა და ვნახავთ როგორ აამეტყველდება ხელოვანთა მარაქა...

დ. თურ[illegible]ელი.

---

რედაქტორი [illegible] ნათაძე.

## განცხადებანი

ილარიონ გ. თოდრია დღემდის ვიმყოფებოდი ბოლშევიკურ პარტიაში. და დღეს კი ურს ვყოფ იმათი შეუფერებელი მოქმედების გამო. ჩემი გულწრფელი სურვილი არის შევერთება ს. ს. დ. მენშევიკურ პარტიაში. ილ თოდრია. (1—1)

**პროვიზორი**
ფერსენის აფთიაქში ნამუშევარი
**ეძებს ადგილს**
მისამართი: ქუთაისი კარლოვის დამართი ნათაძის სახლი ნ. გოცაძეს (კუც. 170)

კბილის ექიმი
**მ. ც. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა**
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

**სპეციალისტი მასწავლებლები**
ამზადებენ ქართულ და რუსულ საშვალო სასწავლებლის ყველა კლასებისათვის. მიხეილის ქუჩა № 124. მიღება 3—6 ს. (3108—1—1)

**სამკურნალო**
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
[illegible]
დილით 1—2 საათ. საღ. 6—7 საათ. [illegible] ტელეფ. 7—91 (1 მარტ)

ბათუმი
**ექიმი**
ალ. ალ. ძე თუმანიშვილი.
დაბრუნდა ძველ ბინაზე (სვიატოპოლკ-მირსკი ქ. № 31) და შეუდგა შინაგან და ნერვებით ავათმყოფების მიღებას. (11—მარტ.

ექიმი
ანდრია მიღმელის ძე
**ლევენშტერნი**
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭ ნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 22—თებ.

**ქ. შ. ზარიანოვი**
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულებათ (სიფილისი „606" და „914" შესხაპუნება). მიიღებს: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. [illegible] რამის ქ. № 9, ვეზირის ქუჩის კუთხე [illegible] რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. ღარიბები უფასოთ. (29 მარ.

კბილის ექიმი.
ნიკოლოზ თეიმურაზის ძე
**ხორავა**
იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველდღე გარდა კვირა უქმე დღეებისა დილის 10—2 საათამდე, საღამოობით 4—[illegible] საათამდე. ვერის დაღმართი (ოლღას ქ. კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ-აზარიანცისა, ბინ. № 20. (22 თებ.

ქირურგიული და ქალთა სნეულებების
**საავადმყოფო**
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
**ბოკერიასი**
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141 პროექტორ „აპოლოს" მახლობლად. ტელეფ. № 5—97 დასაწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროის სრული პანსიონით. (28—თებ.

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) კანის ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ნაწილებში (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლეს უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით (მარცხნივ). მიღება დილით 10 1[illegible] ნაშ. ს საათ. 5 7 საათამდე. 16—თებერ.

ექიმი
**ა. ი. ჰალანდაძე**
ღებულობს შინაგანი ავათმყოფებს დილის 8—12 საათამდე, ვენერიულ სიფილისით (წამ. „606" და „914") ბუშტის და საშარდის ადგ. 4 6 საათ საღამ. უქმე დღეებში მარტო დილაობით გუდაიძის ქ. № 6, [illegible] დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს ტელეფონი 18—95. (7 მარტ.

**განცხადება**
შორაპნის მაზრაში, დაბა ძირულაში, ამა წლის 15 თებერვლიდან გაიხსნ[ა]
საქალაქთაშორისო
**ტელეფონის სადგური**
რომელსაც იქნება ტელეფონით კავშირი რესპუბლიკის ყველა იმ ქა[ლა]ქებთან, სადაც არსებობს საქალაქთაშორისო ტელეფონის სადგურ[ი] და იმავე მაზრაში არსებულ სამაზრო ტელეფონის ქსელის აბონენტებ[]თან (სამაზრო ერობა, თემები და კერძო ბინები.
საქალაქთაშორისო ტელეფონის ქსელის უფროსი გარდამოვი.
(ნ. 1—1)

**ურიაკარში (სენაკ. მაზრა)**
**იყიდება თავისი მოწყობილობით**
**ორსართულიანი სახლი**
ზევით ბინა, ქვევით სადუქნე, უკან ეზო 120 კვ. საჟენი მო[...]
სალაპარაკებლად მისამართი: თფილისი, მ[...] ქუჩა [...]
ს. დანელიას. (542 2—2)

**სამხედრო სამინისტროს სამხედრო [...]**
ტეხნიკური სექცია ამით აცხადებს, რომ 22 ამა წლის თებერვლის დილის 1[...] საათზე დანიშნულია შეჯიბრება ნავთის სანათურების საყიდლად შემდეგი ზ[...]
მებასა:
1) უბრალო ქარქის ლამფები მინებით № 11 სულ 500 ცალი.
2) უბრალო ჩამოსაკიდი ლამფები № 20 სულ 100 ცალი.
3) უბრალო მაგიდაზე დასადგმელი მინებით № 8 სულ 100 ცალი და
4) ფარნები ნიმუში „ლამურა" სულ 200 ცალი.
ვისაც სურს ვაჭრობაში მიიღოს მონაწილეობა შეუძლია ვადასინჯოს ნიმუ[...]შები ალი შნულ სანათურებისა ტეხნიკურ სექციის მატერიალური საწყობში [...]რე ბროსეს ქუჩაზე № 10, 9—3 საათამდე ყოველ დღე.
საქმის მწარმოებელი გელაძე. (556—3—3)